

დღისთვისა და საქარსველს



საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

29 ნოემბერი, 2013 წ. №72 (3682) ბამოცემის 77-ე წელი ფასი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

მცირე რეპლიკა

ლაყა, სადა ხარ, ლაყა?! ანუ მიხეილ სააკაშვილის მონატრება საქართველოში ქრისტეშობისთვის დაედას!


ძვირფასო მკითხველო!
ჯერ პირველწყარო – გალაკტიონის ლექსის ერთი სტროფის მცირე პერიფრაზი უნდა შემოგ-თავაზოთ! –
მიდის ოპერა „ლაკმე“, –
ბუტაფორიის შეხლა!
განა ეს არის საქმე?!
მიშა, სადა ხარ ეხლა?!
ბატონო ექსპრეზიდენტო!
როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, მანდ ყოფილხართ, ამერიკაში, თქვენს ძმაკაც მაკ კეინთან!
არადა, ახლა საქართველოს ბედი იქ, ვილ-ნიუსში, ევროსაბჭოს სამიტზე წყდება – ჰოდა, ნეტა, იცოდეთ, როგორ ვწუხვართ და როგორ გვაკლიხართ თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი მე-

გობარი ევროსაბჭოს მეთაურების გვერდით არ დგახართ!
რა გინდა, მიშა, მაგ გამოყვეყნებულ მაკ კეინთან – შენი გაგიჟების შემთხვევაში (რაც არც ისე იშვიათად ხდება!), მაგან შენ გაგაკავოს კი არა, საკუთარ სხეულში დაგროვილ გაზსაც, მით უმეტეს, თუ გასასროლად არის გამზადებული, ველარ აკავენს!..
მიშა! ისიც მინდა გახარო – ახლა საქართველოში ლამაზი ქალბატონების რთველია დამდგარი!
და მინდა, იცოდე, ძალიან აკლიხარ ამ ჩვენს მანდილოსნებს – ზოგს ტუჩები აქვს ჩასაკბეჩი, ზოგსაც ცალი ძუძუ აქვს მოსაჭმელი!..
შენ კი ზიხარ მანდაურ გაკრიალებულ საპირფარეშოში და, რითიც სიყმანვილეში ერთობოდი – ხელცქვიტად – ისევ იმითვე აგრძელებ!..

თუმცა, კიდევ რომ ჩამოხვიდე, შენი გასაკეთებელი საქმე საქართველოში ახლა არაფერია – ყველა პატიმარს ცოცხი უკვე უკანალში აქვს გარჭობილი და ნატურალურად გასაუპატიურებელი ხალხის დამუშავებაც თითქმის დამთავრებულია!..
შენ ერთი დაგვრჩი და, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან შენც მოგივლიან!..
ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, დავამთავროთ იმით, რითიც დავიწყეთ!
მიდის ოპერა „ლაკმე“, –
ბუტაფორიის შეხლა!
განა ეს არის საქმე?
მიშა, სადა ხარ ეხლა?!
ზრდილობისთვის გიკითხე, „ძმაო“, თორემ, თუ გინდა, მამაჩემის მამასთან წასულხარ!..



უფხნარი "დილა" გაეხიჩა!



საუკუნეს გადაცილებულ საბავშვო ჟურნალ „დილას“ ვულოცავ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მიკუთვნებას!

ჟურნალის არსებობის 109-წლიან ისტორიაში იყო უძძიმესი წლები, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. სწორედ ამ დროს ჩნდებოდნენ გონიერი, ერის მომავალზე მოფიქრალი ადამიანები, რომელთა ძალისხმევით ჟურნალი სიცოცხლეს განაგრძობდა. ამჯერადაც ასე მოხდა!

წინა მთავრობის მიერ გამოცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან ერთად გამოსახლებული და სახელდახელოდ მონახულ მცირე, გაურემონტებელ ფართში თავშეფარებული ჟურნალი „დილა“ დიდი წვალებით, შემოწინრულობით აგრძელებდა არსებობას და მართლაც სულზე მოუსწრო ბატონ ბიძინა ივანიშვილის გუნდის გამარჯვებამ, მთავრობაში გონიერი და, რაც მთავარია, სამართლიანობის აღდგენის სურვილით გამსჭვალული ადამიანების მოსვლამ. ერთი მათგანია კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი გურამ ოდიშარია. ქართველი მწერლო-

ბისტვის განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ეს გონიერი, პატიოსანი ადამიანი თავადაც მწერალია და სახელმწიფოებრივად აზროვნებს, ანუ იცის, რომ ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, რომ მოზარდს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღ კვებასთან ერთად ასევე „ეკოლოგიურად სუფთა“ სულიერი საზრდოც სჭირდება და რომ „დილა“ სწორედ ის ჟურნალია, რომელიც ასეთი სულიერებით მიდის მოზარდებთან.

ყველაზე მძიმე წლებში ჟურნალის რედაქციამ მოახერხა საბავშვო მწერლების გაერთიანების შექმნა და თითქმის დაკნინებულ, წიგნის გამოცემას დანატრებულ, პრესტიჟული ნომინაციებიდან ამოღებულ საბავშვო მწერლებს, „დილაში“ ჩვენი ნაწარმოებების დაბეჭდვის სიხარული განგვაცდევინა. მინდა მადლობა ვუთხრა ჟურნალის ჩინებულ რედაქტორს ქალბატონ დოდო წივნივაძეს და აქ მომუშავე არაჩვეულებრივ ადამიანებს იმ განვლილი წლებისთვის. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევეუბნოთ იმ ადამიანებს, რომელთაც მადლობა მოახსენეს თანამდებობიდან და პოლიტიკიდან წასულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ვინაც ქვეყნისთვის უძძიმეს წლებში ფიზიკურად და სულიერად გადაარჩინა ერის საუკეთესო მოღვაწეები, სულზე მოუსწრო უფსკრულის პირას მყოფ ჩვენს სამშობლოს და იმედი გავიჩინა, რომ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ აღორძინდება ქვეყანა, დავიბრუნებთ ადამიანურ ყოფას, ღირსებას, სამართლიანობას, პროფესიონალიზმისადმი პატივის მიგებას... ამ ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს ბოლო წლის განმავლობაში გაკეთებული სასიკეთო საქმეები და პირადად ჩემი ამჟამინდელი დიდი სიხარული – ჟურნალ „დილას“ გადარჩენა!

ახლა ჯერი ჩვენზეა – არ მოვაკლოთ პატარებს მაღალმხატვრული, საინტერესო შემეცნებითი თუ საღალბო საკითხავი.

ლალი ჯაფარაშვილი

1 დეკემბერი 15 საათი

საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიასთან არსებული „თავისუფალ შემოქმედთა ლიგა“, ჟურნალი „დილა“ და გამომცემლობა „ქართული წიგნი“

გაპატიჟებიან

საქველმოქმედო ღონისძიებაზე „ერთი წიგნის აუქციონი“

ყველა ავტორი ჩაებმება აუქციონში – წიგნის გაყიდვით შემოსული თანხა გადაეცემა ერთი წლის იოანეს, რომელსაც ექიმებმა ცერებრული დამბლის დიაგნოზი დაუსვეს. ასევე, ავტორები საკუთარ წიგნებს საჩუქრად გადასცემენ თსუ-ის ბიბლიოთეკას. ღონისძიება გაიმართება „მწერლის სახლში“ (მაჩაბლის ქ. 13).

საინფორმაციო მხარდაჭერები: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რადიო „საქართველოს ხმა“, სტუდენტური რადიო „სტარტი“ და ტელევიზია STV, გაზეთი „რაო-რაო“ („საკვირაო“), გაზეთი „ხმა ერისა“, ტელეკომპანია „მაესტრო“ და სარეკლამო სააგენტო „PREDA“.

ლია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ბიორგი მარგველაშვილს

ბატონო გიორგი, უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას და გისურვებთ მთელი თქვენი პოლიტიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი რეალიზებულიყოს სამშობლოს უკეთესი მომავლის სამსახურში.

უაღრესად აქტუალური საკითხი, რამაც გადაგვანყვეტინა თქვენთვის მოგვემართა, ეხება ავღანის, ყოფილი პრეზიდენტის რეზიდენციის სამომავლო დანიშნულებას. მიგვაჩნია, რომ ყველა აზრი, რომელიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოითქვა, საყურადღებოა და ანგარიშგასანევი, აქედან გამომდინარე, ჩვენც გვსურს მისი სამომავლო ფუნქციის შესახებ ჩვენი აზრი მოგახსენოთ და ვიმედოვნებთ, მას ყურადღებით მოეკიდებით.

დავინყებთ იმით, რომ ნაგებობის ერთ-ერთი არქიტექტორის, ბატონი გიგა ბათიაშვილის განმარტებით, ეს შენობა თავიდანვე გამიზნული ყოფილა როგორც „საქართველოს სახლი“, ანუ ისეთი ტიპის კულტურული დაწესებულება, სადაც თავს მოიყრიდა, გამოიფინებოდა და პოპულარიზაცია გაენეოდა ჩვენი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთ ფასეულობებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. ასეთად მიგვაჩნია: ქართული სამინათმოქმედო კულტურა (ვაზი და ხორბალი), წინაანტიკური, ანტიკური და ელინისტური ხანის უბრწყინვალესი საიუველირო ხელოვნება, ქართული ანბანი და ქართული დამწერლობის ძეგლები, ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ნიმუშები. ამ უმდიდრესი მასალის საუკეთესო ნაწილის ერთად თავმოყრას და წარმოჩენას შეუძლია სრულად გამოხატოს ჩვენი ერის კულტურულ-ინტელექტუალური შესაძლებლობანი და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს მნახველზე. ამიტომ, უპრიანი იქნებოდა, ეს უნიკალური მასალა ერთად დაუწვებულიყო ისეთი ტიპის საგამოფენო სივრცეში, როგორსაც წარმოადგენს ავღანის რეზიდენცია. გვსურს, ცნობად მიიღოთ ის გარემოება, რომ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობა, სადაც ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ექსპონატებია გამოფენილი, თავის დროზე საცხოვრებელ სახლად იყო აგებული და აბსოლუტურად ვერ პასუხობს მუზეუმისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს, მით უმეტეს ახლა, როცა ის გაურემონტებელია და თავისი მოშლილი კომუნიკაციებით უაღრესად უზადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბატონო გიორგი, თქვენს საპრეზიდენტო სიტყვაში გაისმა ქართული კულტურის დამფასებლის და ქომაგის იმედიანი ხმა – გთხოვთ, გაგვიმტკიცოთ ეს იმედი საქმით და, ამასთანავე, დაგვდოთ პატივი და გაგვინიოთ მეგზურობა საქართველოს მთავრობაში, რათა საკითხი ქართული კულტურის სასარგებლოდ გადაიჭრას.

ღრმა პატივისცემით: საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ელდარ ნადირაძე;**

შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მთავარი კურატორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ბიორგი მარგველაშვილი;**

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი **თამარ საყვარელიძე**
და... სულ ორმოცდაათი ხელმოწერა.

ვიტორ რსხილაძე

ამ ბოლო დროს ელჩად ნამყოფმა ორმა „ნაციონალმა“ ღიმილი მომგვარა. ერთმა, რომლის საყვარელი ფრაზაა – „როდესაც პარიზიდან დავბრუნდი“, ტელეეკრანიდან, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ განაცხადა: ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები იმყოფებიან გიორგი მეთერთმეტის და მისი ჯარის მსგავსადო. „პარიზელმა“ ექს-ელჩმა, თავისი ჭკუით, დიდი კომპლიმენტი გაუკეთა ნატოსაც და „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკასაც, როდესაც ეს შედარება მოახდინა. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ბევრად არ გაუმჯობესებულა მე-17 საუკუნისთან შედარებით, როდესაც სამხედრო ხარკს მოძალადე სეფიანთა სპარსეთს ვუხდიდით, ახლა კი „დემოკრატიულ დასავლეთს“ ვუხდით! მაგრამ, თუკი ამ ორ

პოლიტიკური იუმორისკა

მოვლენას შორის რაიმე განსხვავება მაინც არსებობს, დაე ავღანეთში ნატოს მისიის აპოლოგეტი ნაცები თავად გაუსწორდნენ ბედოვლათ ნაელჩარს. მეორე ელჩად ნამყოფმა ნაციონალმა, რომელიც რომიდან დაგვიბრუნდა, გაზეთის ფურცლებიდან შემდეგი განაცხადა: სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი ჩვენ უდიდეს შანსს მოგვცემს რუსეთზე ზენოლისთვისო. როგორც ჩანს, იტალიაში დიპლომატიური სიმალღეების დამპყრობი ნაცის ლოგიკით, ჩვენი ბოიკოტის გამო მსოფლიოში სკანდალი ატყდება და კიდევ ერთხელ „ყველას დავანახებთ რუსეთის ნამდვილ სახეს“. და, რაც მთავარია, ნაცების მიერ განადგურებული ერთიანი საქართველოს ნანგრევებს ქვე

მოყოლილნი ასე ქვემოდან მოვახდენთ რუსეთზე „ზენოლას“... თუმცა უსამართლობა იქნება, „ნაცურ სიბრძნეს“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთი წევრის „ღრმააზროვანი განსჯა“ არ დავუპირისპიროთ. ცნობილმა „კონსტიტუციონალისტმა“ დეპუტატმა, რომელმაც თავის დროზე გენერალი დავით თევზაძე გააკრიტიკა იმის გამო, რომ მან თბილისზე ნამოსული ელიავას ბანდები თავდაცვის სამინისტროს ძალებით გაფანტა (ამაზე ჯერ პარლამენტში უნდა გვემსჯელო! – აღშფოთდა მაშინ პატ. „კონსტიტუციონალისტი“), ახლა შემდეგი განაცხადა: საქართველოში მონარქია ვერ აღსდგება, რადგან დროში დიდი „წყვეტილობაა“! ვერაფერს იტყვი კაცი,

მონარქიას „წყვეტილობა“ აქვს და პარლამენტარიზმი საქართველოში, ალბათ, მისი წარმოშობის დღიდან არსებობს და ასე უწყვეტად ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ „საპარლამენტო“ ცხოვრებით... აქ მე-12 საუკუნეში ყუთლუ-არსლანის დასის უდღეური გამოსვლა გავიხსენოთ თუ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ის სამი წელი, რომელიც მაშინდელი, ასევე „ბრძენი“ პარლამენტის გადაწყვეტილებებით კრახით დასრულდა, არ ვიცი... (სხვათა შორის, „პირველი პარლამენტის“ შემხედვარე, ქართველი სამხედროები გერმანელთა დახმარებით სწორედ მაშინ აპირებდნენ საქართველოში მონარქიის აღდგენას, მაგრამ არ დასცალდათ – (იხ. შალვა მაღლაკელიძის „მოგონებები“). მოკლედ, პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებით უნდა ვიმეოროთ: „ღმერთო, იხსენ საქართველო!“ ■

თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენების ისტორია ჩვენში 8000 წელს ითვლის. ამ რეალობის დადგენაში არქეოლოგიური მონაპოვარი გვეხმარება. ესაა შულავერის სიახლოვეს, „ხრამის დიდი გორაზე“ აღმოჩენილი თიხის საღვინე ჭურჭელი, ე.წ. „დერგი“ და თიხის სხვა ჭურჭლის ნამტვრევები, რომლებიც, ისევე როგორც დერგი, შემკულია ყურძნის მტვერის სტილიზებული გამოსახულებებით. თიხის ჭურჭელი თარიღდება ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით. თიხის ეს უნიკალური ჭურჭელი თავისი ფორმით, შესრულების დონითა და დანიშნულებით ერთობ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ჭურჭლის ყელთან ოთხივე მხარეს გამოძერწილი ყურძნის მტვერის სტილიზებული გამოსახულებები მიგვანიშნებს მის დანიშნულებაზე – ის საღვინე ჭურჭელია. ეს ფაქტი გვამცნობს, ასევე, მისი შემქმნელის მხატვრული აზროვნების გარკვეულ დონეს. ამ აზრს ის მომენტი კიდევ უფრო გვიძლიერებს, რომ დერგის ფორმა არა მარტო დახვეწილი და ლაკონურია, არამედ ტექნოლოგიური თვალსაზრისით მიზნობრივად გააზრებული და ოსტატურად შესრულებული ნახელავია. მისი კვერცხისმაგვარი ფორმა გამობერილი გვერდებითა და შევიწროებული ბოლოთი მიგვანიშნებს ღვინის დაყენების გარკვეული ცოდნა-გამოცდილების არსებობაზე, წარმოგვიჩენს საშემსრულებლო ოსტატობის გარკვეულ დონეს.



ქვევრისა და ქვევრის ღვინის ტრადიციები

მას შემდეგ, რაც ადამიანი ტყეში ვაზს და მის გემრიელ ნაყოფს გაეცნო, გაუჩნდა სურვილი მისი გამონურვისა და წვენის შენახვისა. ამისთვის მას სათავსო, ჭურჭელი ესაჭიროებოდა. მან ყველაზე იოლ საშუალებას მიაგნო – მოზიდა თიხა-მინა, გამოაშრო მზეზე, ჩაწურა ყურძნის წვენი, რამდენიმე დღეში კი აღმოაჩინა, რომ თიხის ჭურჭელში ჩასხმულ წვენს სიტკბო გაუქრა და უფრო მყავე, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნებების აღმძვრელ სითხედ იქცა. თანდათანობით მიენდო და შეეთვისა მას. ასე აღმოაჩინა ადამიანმა ღვინო.

ძნელი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო ის თიხის ჭურჭელი, რომელშიც პირველად ჩაიწურა ყურძენი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ „ხრამის დიდი გორაზე“ დერგი არის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძიება-დაკვირვების შედეგად მიღებული რაციონალური ვარიანტი თიხის საღვინე ჭურჭლისა. რომელიც წარმოადგენს პირველსავე თანამედროვე ქვევრისა. ქვევრის სრულყოფის შემოქმედებით მემკვიდრეობითი განვითარების გზას გვიდასტურებს ახალი ჟინვალის ძვ.წ. III ათასწლეულის თიხის საღვინე ჭურჭელი, რომელსაც უკვე ღია ყელი აქვს. საინტერესოა ის, რომ ქვევრის ამგვარი პირლი ყელი დაფიქსირდა ალავრდის მონასტრის VIII-IX საუკუნეთა ახლად აღმოჩენილი მარნის ერთ-ერთ ქვევრზე.

„ვაზის მოშინაურება, გაკულტურება და მეურნეობაში ჩართვა ისტორიული ეპოქის საკუთრებაა და მისი წარმოდგენა მხოლოდ ადამიანთან დაკავშირებითაა შესაძლებელი. ვაზი და ადამიანი – ეს ორეული – ისტორიული მოვლენაა, ხოლო მათი ურთიერთობით მიღებული შედეგი ქართული ცივილიზაციის დასაწყისია, რომელიც შენიშვნის გარეშე ძვ. წელთაღრიცხვის VI ათასწლეულიდან მაინც უნდა დაიწყოს“ (ლევან ჭილაშვილი).

არქეოლოგიურად არის დადასტურებული ველური და კულტურულზე გარდამავალი ნიშნების მქონე ვაზის ჯიშების ნაშთები, რომლებიც მსოფლიოში უძველესად არის მიჩნეული.

ის ფაქტი, რომ საქართველოში გვხვდება ვაზის ველურიდან კულტურულზე გარდამავალი ფორმები, გვაფიქრებინებს, რომ სწორედ იმ შორეულ წარსულში ისახებოდა ხალხური სელექციის საწყისები. ეს სავესებით ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ აქ მოსახლე ადამიანს დაკვირვებისა და შერჩევის ფართო შესაძლებლობა ჰქონდა, რამეთუ საქართველოს ტყეებში მრავლად მოიპოვებოდა ველური ვაზის ფორმები – საქართველო ამ მხრივაც ხომ გამორჩეული ნაწილია სამხრეთ კავკასი-

ასა და მის მიმდებარე არსებულ ვრცელ ტერიტორიაზე.

მკვიდრად ბინადარი ცხოვრების სანყისებზე დაფუძნებული მოსახლეობის ცნობიერებაში ვაზის კულტურა და ღვინო იქცა განსაკუთრებული ზრუნვის, ყურადღების საგნად, რამეთუ ვაზის მოშინაურება, მოვლა, ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება, მისი შენახვა და გამოყენება გახდა წლის განმავლობაში მისი საქმიანობის, ჭირისა თუ ლხინის, რელიგიურ-სარიტუალო თუ სულიერ-ზნეობრივი კულტურის განმაპირობებელი მძლავრი სტიმული.

ვაზთან ურთიერთობამ ადამიანს მისცა ბიძგი შემოქმედებითი ბუნების გამოვლენა-განვითარებისა. აკი ბრძანებს წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე): „თუ ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად გონებითად და აქედამ ზნეობითადც. ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მინათმქმედებისა და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰხოხოვლობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისა“.

ვფიქრობ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ გონებისა, საზრიანი და ხერხისუნარიანი უნდა ყოფილიყო რვა-ათასწლეული თიხის უნიკალური საღვინე ჭურჭლის შემქმნელი ჩვენი წინაპარი.

ალბათ შეუძლებელია უფრო სიღრმისეულად და ლაკონურად დახასიათება ვაზისა და ღვინის კულტურის როლისა ადამიანის ყოველ-ცნობიერი იერ-სახის ჩამოყალიბებაში, ზოგადად კი ქართული ცივილიზაციის ფორმირებაში.

ქართველი კაცის ჭურ-ქვევრისადმი ერთგულება ღრმა შინაგანი რელიგიური ბუნებით უნდა აიხსნას. ამასთანავე, ქართველი კაცი კარგად აცნობიერებდა სხვა ჭურჭელში დაყენებულ ღვინის მაღალ ლირსებებს. ამიტომაც ვერ შეცვალა კასრმა ქვევრი. მაგრამ ეს ცოდნა გამოცდილებით ჰქონდა შეძენილი. მისი მეცნიერულად ახსნა-დასაბუთება მხოლოდ დღეს გახდა შესაძლებელი.

ქართველი კაცი არაერთგზის იდგა ცდუნების წინაშე – შეეცვალა ქვევრი სხვა ჭურჭლით, მაგალითად, მუხის კასრებითა და ჩანებით. ასე იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში, როცა ცარისტული პოლიტიკა ცდილობდა, ევროპულით შეეცვალა

ყოველივე ტრადიციული მევენახეობასა და მეღვინეობაშიც. მაგრამ ქართველმა კაცმა არ დათმო ქვევრი და არ მიიღო კასრი ქვევრის სანაცვლოდ. ქვევრის უპირატესობა მუხის კასრთან შედარებით აღიარა თვით ცარისტული პოლიტიკის გამტარებელმა ცნობილმა სპეციალისტმა გ. ლენცმა 1846 წელს, როცა წერდა: „Неоспоримое преимущество квеври перед европейскими бочками и чанами“. მერე ცნობილი სპეციალისტი მ. ზალასი კი 1896 წელს ადასტურებდა იმას, რომ კახეთის მევენახე-მეღვინეებმა უარი თქვეს ღვინის ევროპულად დაყენების წესის დანერგვაზე: „После целого ряда неудовлетворительных результатов применения европейских приемов выделки вина, здесь вина стали готовить по местному способу“.

როგორც ვხედავთ, ქართველი მევენახე-მეღვინე ერთგული რჩებოდა ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციისა და, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა და კრიზისული მოვლენებისა, ქვევრში ღვინის დაყენების უძველესმა ტრადიციამ დღევანდლამდე მოაღწია. ჩვენდა საბედნიეროდ, ქვევრმა და ქვევრში ღვინის დაყენების ქართულმა ტრადიციულმა წესმა დიდი საერთაშორისო ინტერესი და აღიარება მოიპოვა. ამასთან ერთად, გაჩნდა დაინტერესება იმით თუ რა უპირატესობით სარგებლობს ქვევრი და მასში ღვინის დაყენების წესი სხვა ჭურჭელთან და ტექნოლოგიურ წესებთან შედარებით. რატომ ქვევრი და არა სხვა ჭურჭელი? ჩვენი ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ერთი და იმავე ზერის ყურძნისგან ქვევრში დაყენებული ღვინო უფრო მდიდარია არაქვევრში დაყენებულ ღვინოზე აქროლადი და არააქროლადი არომატნარმომქმნელი ნაერთებით, რაც დაგვიდასტურა მრავალმხრივმა სამეცნიერო კვლევამ. თიხის ქვევრის მინერალური ნივთიერებები უნდა იყოს არომატნარმომქმნის პროცესების მასტიმულირებელი ფაქტორი ღვინის დადუღება-დაფარვების პროცესში.

ბუნებრივია, რომ ქვევრში სრულ ჭაჭაზე დადუღებული და დაფარვული ღვინო მდიდარია ყურძნის მაგარი ნაწილების (კანი, კლერტი, ნიბნა) შემადგენელი სხვადასხვა კლასისა და ჯგუფის არომატნარმომქმნის ნაერთებით, რაც განაპირობებს მის მაღალ ანტიოქსიდანტურ უნარიანობას, კვებით, დიეტურ და სამკურნალო თვისებებს. ამგვარი ღვინის მიღებას არაერთი ფაქტორი განაპირობებს. ვაზის ჯიში, ნიდაგურ-კლიმატური პირობები, მიკროზონა, ღვინის დაყენების წესი, დამავიწვინებელი ფაზა მეღვინე-ოსტატის ხელი და გამოცდილება, რომელიც ქვევრის პირას მდგარი, ღმერთის განგებულებით მოქმედი ადამიანია.

თეიმურაზ ლლონტი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის წევრი



►► დასასრული შემდეგ ნომერში

საოცარი თვისება აქვს ჭეშმარიტი შემოქმედის ნაკალმარს, იგი ჯადოსნურად მოქმედებს მკითხველზე, შეიტყუებს მხატვრული სამყაროს ლაბირინთებში, ათავისებინებს პერსონაჟის ზნესა და ქცევებს, მჭმუნვარებასა თუ ლხენას, მასავით განიცდის და მასვე ბაძავს.

ასე წარმოვისახავდით ხოლმე საკუთარ მეს ხან ტომ სოიერად, ხან ბაში-აჩუკად, ხან რომეოდ და, რა დასამალია, ხანაც – ოლეგ კოშევიდ!

ჩემი აზრით, ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“ ახალგაზრდა პოეტის პირველი მკვეთრი გაღვთვება იყო ქართული პოეზიის კაბადონზე და ჩვენც, მკითხველებიც, თითქოს ლირიკულ გმირთან ერთად თავჩარგულნი ვჩიჩქნიდით მინას და ვიღებდით პურს ჩვენი არსობისას – კარტოფილს, და ჩვენც მასთან ერთად გვდიოდა ოფლი.

სწორედ ეგ არის საშველი: ტანში ჩაბუღებულ სწეულებას ოფლის დადენა შევლის.

ეს უკვეა ერთი ნაბიჯი ადამიანის სრულყოფისკენ.

„კარტოფილის ამოღებას“ უხვი სთვლიანობა მოჰყვა – ხვავრიელი სადღეისოდ

„ბოდიშს გიხდი, საქართველოვ!“

მისი შემოდგომა და აშორის გამჩენმა ნადრევი დაზამორება!

მაინც რითი მეძვირფასება ასე ბესიკ ხარანაულის პოეზია?

საოცარი სიცხადით, სინათლით, სინატიფით, გნებავთ, მუსიკალობით.

ზოგიერთის რითმიანი თუ ოდენ საესტრადო მელოდიად ჟღერს, ხარანაულის თავისუფალი – ძალუმ სიმფონიად.

როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ისიკავა ტაკუბოკუს ცნობილ ტანკას მუსიკალური ფონი? „ერთხელ ხუმრობით დედაჩემი მხარზე შევისვი, იგი იმდენად მსუბუქი იყო, რომ უცბად ცრემლი მომერია და ვეღარ ვზიდე“. კი აქვს – შოპენის სამღლოვიარო მარში!..

ბესიკი მეძვირფასება იმიოაც, რომ იმის „თავისუფალს“ უფრო იოლად აღვიქვამ, ვიდრე მავანის გართიმულ აბრაკადაბრასა თუ მეორე მავანის ვერლიბრის რებუსივით რთულ პოეტურ სახეებსა და ვითომ მეტაფორებს!..


ასე რომ, ბესიკ ხარანაულის პოეტურ საგანძურს გზადაგზა უნდა ეზიარებოდეს გონიერი მკითხველი, თუ სურს, რომ სულის საგზალი არ დაეღიოს!

ბესიკ ხარანაული, როგორც ყოველი დიდი ტალანტი, დილაც ცალკე კონცხია (აისბერგი მაინც ყინულია და დნობადია!) ქართული კლასიკური პოეზიის მოლივლივე ზღვაში! ლამის წამომცდა, ცალკე კუნძულია მსოფლიო პოეზიის არქიპელაგში-მეთქი! თუმცა რა, სიმართლეს სჩვევია წამოცდენინება!..

კიდევ ერთი, ჩემი აზრით, მისი უნიკალური თვისება – არანაირად არ „იბრძვის“ თავის გამორჩენისთვის, პოპულარობისთვის.

ამის ჩინებული მაგალითია მისი ამჟამინდელი საქციელი: საერთოდ უტია, განერიდა მეგაპოლისს და პროვინციაში, ლიმოში გადასახლდა.

დაბადების დღის აღსანიშნავად (11/XI) ახალი ლექსები მოგვანოდ-მეთქი (მაინც რა მადლიანი თვეა ეს ნოემბერი: სულხან-საბა, ილია, გალაკტიონი, გრანელი, მაყაშ-



ვილი, გრიგოლ რობაქიძე, ოთარ ჩხეიძე, მურმან ლებანიძე, თამაზ ჩხენკელი, მანანა ჩიტვილი, თემურ ჩალაბაძევილი და კიდევ ბარეორი, ნოემბრისანი არიან!) არა მაქვსო ახლები. აბა, ძველები დაბეჭდონ-მეთქი? არა უშავ რა, ყველა ლექსი ჩემი დანაშაულიაო! მაშ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ისინი.

გიორგი ზარნაძე

ბესიკ ხარანაული

ადამიანები ყოველ საღამოს კარგავენ ერთმანეთს, რომ მერე სიკვდილამდე ეძებონ და მათი კანი, როგორც მერქანი, იკოჟრება და იძინდება...

ადამიანები ყოველ საღამოს კარგავენ მზეს და როცა გრძელდება მათი ჩრდილები, ისინი ურმებს ავსებენ თივით და ხორცსავსე ცოლებით და ურიცხვი შვილებით გადიან მინდორში და ჩამავალ მზეს ძეგლებივით უდგამენ ზვინებს... ადამიანები კარგავენ ყველაფერს, გარდა მზის...

მე შენ გიყურებ ლომის თვალით. ჩვენ ვდგავართ ცირკის არენაზე. შენ მაჯობე ჭკუით და ცეცხლით და უსასრულოდ მათვინიერებ... მაგრამ მაინც მოდიხარ რისკზე და როცა მე ძალივით გელაქუცები, შენ მკერდზე ხორცის ნაჭერს იკიდებ... მაგრამ შენ რომ შემოგხედო ჭიანჭველას თვალით, შენ შეგიძლია ჩამოხვიდე ჩემი ბალახის სიმალღემდე, რომელიც მე უმალღესი ხე მგონია, და შემამჩნიო?

სულ ერთ წუთს სევდა მოგვეძალება და გვეჩვენება, რომ აქამდის ჩვენი ცხოვრება ტანჯვა იყო და შემდეგშიც, რა თქმა უნდა, ტანჯვა იქნება. მაგრამ მალევე, ბუნებრივად და თავისთავად, მხიარულება მოგვიცავს ხოლმე და ჩვენ გვგონია, რომ აქამდის რაც გვიცხოვრია, სულ ლხინი იყო და მომავალშიც, რა თქმა უნდა, ლხინი იქნება.

ახლა ხომ აღარ გაგიკვირდებათ, რომ შევძახო: – „რა დაგიშავეთ, ღმერთო, მითხარი!“

განა მარტო სიკვდილია, დედი, ქვეყანაზე ძნელი, სიყვარულიც სამსალაა, ფეხებს გამოკრული ცელი. აინევ და ვერ ადგები, თვალნი დაგირჩება სველი...

მე ვის ვუყვარდი? – არა, არავის!
მე ვინ მიყვარდა? – არა, არავინ!
აი, ეს არის ჩემთვის ყველაზე სევდის მომგვრელი და შემზარავი.

მაგრამ იქნება ვინმეს ვუყვარდი, მაგრამ იქნება მიყვარდა ვინმე და ერთურთს პირზე ხელს ვაფარებდით და სიყვარული არ ვათქმევინეთ?

ბევრი მტვერი მომაცარე შე ცხოვრებავე, ქარიანო, მაგრამ მაინც ვერ გამტეხე, ჩემ გემოზე გავიარე! შენივ წამალი დავადე ნყლულს შენგანვე ნაიარევს.

შე სანვიმარო ღრუბელო, ლექსის მომყვანო ჩემზედა, ნუ გადაივლი ზეციდან, ნუ გამომკიდებ მზეზედა, თორე ულექსოდ დავინვი, დაგრჩები მომიზეზედა...

გაძლომაც იყოს ნეტავი, გაძლომა სიყვარულითა, არნდომა, აღარ შეხედვა თვალებით დაქანცულითა, გაცლა და გზაზე დადგომა დანაყრებული გულითა, რა ბევრი დაისვენებდა, რო ჯავრი გადაუვლიდა!

მე ავადა ვარ, მე სახლში ვარ, ლოგინში ვწევარ, რეკავენ ცოლის მეგობრები და შვილების ამხანაგები, ჩემი – არავინ... ჩემს მეგობრებს მე თვით ვურეკავ.

წადი, თუ წახვალ, რა მოხდა, ეგეთი მომითმენია?! მე თავიდანვე ვიცოდი არგაჩერება შენია! წადი, თუ წახვალ, რა მოხდა, ია და ვარდი გფენია, ერთხელ ხომ მაინც გაკოცე, ერთხელ ხომ ცრემლი გდენია, ერთხელ ხომ მაინც გეხვიე, ძუძუზე ხომ მიკებენია... წადი, თუ წახვალ, რა მოხდა, მე ჭირშიც მომიღხენია!..

დღე კიდევ არა მიშავ რა, გულს რაიმეთი ვავირთობ, მაგრამ, ვაი, რომ ლამდება, ცაზე ვარსკვლავი ანთო, ძნელია შეყვარებულის მუჭში ტირილი მალვითო, რა გაახარებს დამშლელთა იმისი ცოდვა-ბრალითო!

ვინა თქვა სიყვარულისა, სირცხვილით აინონება! ისეთ რაიმეს ჩაიდენს, ყურით არ გაიგონება, შენც მოგკლავს, თავსაც მოიკლავს, თუკი დაუნყე რჩოლება, აარჩევს აურჩეველსა, ართვალსა დაემონება, კარებს თუ გადაურაზავ, ფანჯრიდან ჩაეკონება!

პირანზი

უკანასკნელად ირეცხები, ჩემო პერანგო, დრო წაგივიდა, გაიცვით, გამოიფიტე... პირი დაგიღეს ჭრილობებმა, დღემდის ნათმენმა, თუმცა ასეთი ჩემ გულს უფრო ეამებოდი, ასეთი უფრო ვუხდებოდით ერთურთს, პერანგო... დიდებულა, საქონელი პატრონს ჰგავს როცა, მაგრამ, ეტყობა, ერთ-ერთს უნდა დაგვეთმო თავი. უკანასკნელად ირეცხები, უკანასკნელად... ცოტაც და ხარბნი თავს მგლებივით დაგაცხრებინ, დაგაგლეჯენ ჩვრებად, სანმენდებად, ჩემო პერანგო.

რაღაც მეტი უნდა შეძლოს კაცმა, ვიდრე ისეთი რამ, რაც იმის ხელთ არის, მაგალითად, დაიძინოს! როგორ მერიდება ჩემი ლამის ნათურის?! რამდენჯერ ავანთებ, იმდენჯერ ჩავაქრობ – მას მერე, რაც მგონია, რომ უკვე ვიძინებ. ჩემი ნერვების გაგრძელებად იქცა, დასტური არის ჩემი გულის გაუმადლობის... ნეტავ, სხვას კიდევ თუ ვექცევი ამქვეყნად ასე? ბავშვურად და თანაც მეფურად?

ბოდიშს გიხდი, საქართველოვ!

ნეტავი თუ გათენდება ერთხელ დილა ისეთი, რომ მე ბედს არ შეველაღადო უდიერ ხმით, მქისეთი: რატომ ბედო, რისთვის ბედო? რა მაქვს დანაშაული? ნუთუ ის, რომ ქართველი ვარ, გვარად ხარანაული, რომ ტანთაც ვერ ჩამიცვია, განვდილი მაქვს ხელები, რომ ამ მინას, სადაც ვდგავარ, ვერაფრით ვეშველები... ბოდიშს გიხდი, საქართველოვ! დრო არის დაჩივლების: რომ შენ შევილად მიმიღე და მე კი ვერა გიშველე!

ისწავლე მარტოობა, ჩემო სულელო თავო, კარზე ისეთი დრო მოგვდგომია, – ისწავლე მარტოობა, ჩემო სულელო თავო, და განა იმიტომ, რომ ბავშვები საღამოობით უჩინარდებიან, და განა იმიტომ, რომ ხელს არავინ მოგიკიდებს ნავის ურიკას, ისწავლე მარტოობა, ჩემო სულელო თავო, რომ, როცა კარს მოგვადგება ნამდვილი სიბერე, – აღარ ინუნუნო საკუთარ სიმარტოვეზე და ზამთრის მინაში ჩაყინულ ურიკაზე.

ჩვენარად, ჩართვით, ჩვენარად!

სახლი რუსთაველზე

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი თავს, მის დამთავრებას მაინც ვესწრაფოდი.

იყო სტუდენტობასთან ასოცირებული დამოუკიდებელი, ლაღი, მოდარაჯე თავლისგან დაფარული ცხოვრება – როგორც აღმოჩნდა, ილუზორული, მაგრამ მაინც...

და ეს ილუზია პირველივე კურსზე დამემსხვრა, როგორ – ამაზე მოგვიანებით გიამბობთ. მოკლედ, სკოლა დავამთავრე – ათასი ჭრელი მოგონებით, რაღაცის ცოდნით, რაღაცის არცოდნით, რაღაცის სიყვარულით, რაღაცის არსიყვარულით და დიდი მოლოდინით.

ახლა ახალგაზრდებისთვის გაუგებარ რამეს ვიტყვი – მაშინ უმაღლესში არ მივიღებდნენ, კომკავშირელი თუ არ იყავი. მე მათ რიგებში არასანდობის გამო არ ვირიცხებოდი, მაგრამ კომკავშირის მაინც იძულებული გახდა, ეს დიდი დანაკლისი შეეცხო. ბოლო წლის 31 დეკემბერს სკოლამაც „გალოჩკა“ ჩაიწერა, მეც კომკავშირელი გავხდი და გამეხსნა გზა ნათელი მომავლისკენ.


სკოლადამთავრებულს მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ მქონდა. ოპერისა და რუსთაველის თეატრებს შორის მდგარ შერჩევას – შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში – შევიტანე საბუთები და...

ცალკე მამაჩემის მეგობრის, ინსტიტუტის მამინდელი რექტორის, ილია თავაძის, ცალკე რამდენიმე ახლობლის „ბლატი“ სტუდენტი გავხდი.

თეატრალურ ინსტიტუტში ერთი ვინრო, გრძელი კორიდორი იყო, ცალ მხარეს მწკრივად ჩალაგებული სკამებით. ძირითადად იქ იყრიდა თავს სტუდენტობა, დასვენების დროს, მიუხედავად იმისა, რომ, იქ რაც ხდებოდა, იმას დასვენება ნამდვილად არ ერქვა.

სულ კედელზე ვიყავით აკრულიები. ხან ხორავა ჩამოივლიდა, ხან ზაქარიაძე, ხან დოდო ალექსიძე, ხან ბაბულია ნიკოლაიშვილი, სხვანი და სხვანი...

უდიდესი მონინება გვქონდა მათი, პატივისცემა. თეატრი ტაძარი გახდა ჩემთვის, ისინი კი ქურუმები, რომლებიც მის სიყვარულს გვინერგავდნენ. მთავარი ხომ ეს არის, თორემ არტისტობა და ლექსის წერა როგორ უნდა ასწავლო ადამიანს?!



მხატვარი კოტე ჯაფარიძე

პირველი საათისთვის დიდი დასვენება იწყებოდა და ყველანი რუსთაველს მოვეფინებოდით, რამდენიმე წუთში ცოცხლდებოდა მიძინებული ადგილი რუსთაველის თეატრსა და კულტურის სამინისტროს შორის.

ლექციები, ინსტიტუტის სცენაზე ძალების მოსინჯვა, სპექტაკლებზე სიარული, ქუჩა თავისი ბირჟაობა-საქმის გარ-

ჩევებით, სტუდენტური დროსტარება – ყველაფერს ვეძებოდი...

სწრაფ-სწრაფად ვუსვამდით მკლავებს, ცურვის სწავლას ვლამობდით, თავისუფლების კუნძულებს ვეძებდით, რაც ძნელი, უკიდურესად ძნელი მისაგნები იყო იმ რეჟიმის პირობებში.

პირველმა გამაფრთხილებელმა „მერცხალმაც“ დიდ ხანს არ დააყოვნა.

სახლში უზარმაზარი ნიგნის კარადა გვქონდა. ზედა თარო გადმოვალაგე და უცხო საგანი შევნიშნე. ახალთახალი გერმანული „ვალტერი“ თავისივე ტყავის ბუდეში უადგილოდ ზიმზიმებდა ნიგნებს შუა. პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. „ვალტერი“ ქამარზე ჩამოვიკიდე და ინსტიტუტში წავედი. იარაღი დიდი იშვიათობა იყო ტოტალიტარულ ქვეყანაში – ახლა მაღაზიაში იყიდება, ოღონდ ფული გადაიხდა...

გია მატარაძემ, ჩემმა ჯგუფელმა, მათხოვეო და მეც ტყავის ბუდეს წელი შევუნაცვლე. დღის ბოლოს ილია თავაძის მდივანი შემოვიდა და ხარაბაძე რექტორთან. დანაშაული არაფერი მქონდა ჩადენილი და წელგამართლმა შევაბიჯე კაბინეტში. იქ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი დამხვდა, როგორც მერე გაირკვა, გვარად პატარქალიშვილი.

ბატონმა ილიამ, ბიჭო, რას არცხვენ ამ მამაშენს, უპატიოსნეს კაცს, წაყვი, ახლა ამ ადამიანსო. დავმორჩილდი და სრულ გაუგებრობაში მყოფი პატარქალიშვილს – სამწუხაროდ, მისი სახელი არ მახსოვს – გავეყვი. შეუფუდქით ლესია უკრაინკას ქუჩას, სადაც უშიშროების კომიტეტი, კა-გე-ბე, თვლემდა. ჩემი მეგზური მეუბნება: „ამ დღეებში ხრუშჩოვი ჩამოდის, დღე და ღამე არ გვძინავს, ყველაფერს ვამონებთ. ეს მატარაძე თქვენი ძმაცაცა?“ მაშინ კი მოვეტინე, მამაჩემის „ვალტერზე“ რომ იყო ატეხილი ამბავი. გიას იარაღი შესვენებაზე ბიჭებისთვის უჩვენებია. ჰოდა, ჯაშუშები ბლომად იყვნენ ყველგან, ჩვენ შორისაც, როგორც აღმოჩნდა, და გაუკოჭავთ მატარაძე. იმასაც რა ექნა – ხარაბაძის მამისააო და აჰა, დაკითხვაზე აღმოვჩნდი უშიშროების ერთ-ერთ კაბინეტში. რომ გითხრათ სასიამოვნო პროცესი იყო-მეთქი, დამიჯერებთ? მაშინ პირველად მომიხდა იმ ქუჩის ავლა. მერე სხვადასხვა მიზეზით არაერთხელ მქონია იქ სტუმრობის „პატივი“... თუმცა მაშინ სხვა სახელმწიფო იყო და არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

არც იმ იარაღის ბედი ვიცი და არც იმ საქმისა, ვინ და როგორ ჩაფარცხა, ცხოვრებულ მამაჩემს კი ერთი სასაყვედურო სიტყვა არ დასცვიდნია ჩემთან.

კარგად მახსოვს სახლში შესვლა და მისთვის თვალის გასწორება როგორ მიჭირდა რამდენიმე დღე...

„კაცური კაცი“ – იყო და არის ასეთი ცნება ჩვენში, ოღონდ დრო უცვლის მას მნიშვნელობას, არსს... მაგალითად, ჩემი წინა თაობა ამ სიტყვებში სრულიად სხვა აზრს დებდა, ვიდრე დღეს... იმისი წინა კიდევ სხვას...

საქართველოში კაპიტალიზმის შემობრძანების პირველივე ნაბიჯებს ის მოჰყვა, რომ კაცური კაცი ფულიან კაცს დაერქვა. ანუ ახლა ყველაფერი იყიდება. ყველაფერი! ალბათ იმიტომ, რომ მუშტარი არის. ასეა საქმე...

საწყალი ვაჟა-ფშაველა კი ამბობს: „სახელი არ იყიდება, ის უნდა იშოვო“...

ახლა რუსთაველზე დავბრუნდეთ, რომელიც მხოლოდ ქუჩა კი არა, შეხვედრების, განშორებების, მილოცვების, მისალმებების ასპარეზი იყო.

იქ გამოიხატებოდა ყველა ტკივილი და სიხარული. მუღავნებოდა დამოკიდებულებები, იმართებოდა საქართველოს სიყვარულით თავგადაკლული კაცების მსვლელობა, შეჯიბრი. თუ კარგად აკეთებდი საქ-

მეს, თუ რაიმეს სასიხარულოს, საამაყოს ჩაიდენდი, სხვაგვარად მიგიღებდნენ. მთავარი ის კი არ იყო, ვის რა ეცვა ან რომელი მარკის მანქანით დადიოდა, არამედ ის, რისთვის ან ვისთვის უძგერდა გული.

ერთხელ მურმანმა ჩამოიარა, ლეგენტიმ, თეატრის წინ ვიდექით ბიჭები. გაგვიჩერდა. უფრო მეტ ხანს შეყოვნდა, ვიდრე ველოდი. წინა დღეს მისი ახალი თარგმანების წიგნი მქონდა ნაყიდი ოპერის პირდაპირ. რა მექნა, არ ვიცოდი. მერე გავვბედე...

– არ დიდებული წიგნია, ბატონო მურმან...

გაიღიმა, არაფერი მიპასუხა იმ წუთას. კიდევ იდგა ცოტა ხანს, მერე მომხედა, გამიღიმა... – გმადლობთ! ჩაილაპარაკა და წავიდა. ახლა ვფიქრობ, იმისთვის ხომ არ ჩამოიარა, იმისთვის ხომ არ იდგა ჩვენთან ერთად, რომ გაერკვია, მისი ოფლისა და უძილო ღამეების ნაყოფი დაგემოვნებულა, გაზიარებული ჰქონდა ვინმეს თუ არა? ალბათ, ასე იყო...

სოხუმი. ზღვისპირი. საუბარი. 21.04.46.

ასე აქვს დათარიღებული კრიტიკოს ლევან ასათიანს საუბარი სცენის ერთ დილოსტატთან, აკაკი ვასაძესთან, მეორე დილოსტატზე, ვერიკო ანჯაფარიძეზე, რომლის ნათამაშებ მარგარიტა გოტიეს ვასაძე „თავზარდამცემს“ უწოდებს.


14 წლის შემდეგ, 1960 წელს, მეც გავხ-



დი ვერიკოს თავზარდამცემი სასწაულის მოწმე მარჯანიშვილის სცენაზე.

თბილისში გასტროლებზე მოსკოვის „სოფრემენკია“ ჩამოსული. განუმეორებელი ეფრემოვის, ვესტიგნევის, კვამას, ტოლმაჩოვას, პოკროვსკაიას და სხვათა და სხვათა ნიჭით მოხიბლული თბილისელების ტყვა არ არის გრიბოედოვის თეატრის ძველ შენობაში. თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი მაშინ და მოკრძალებით შორიდან ვუცქერდი ამ ქვემარტ თეატრალურ დღესასწაულს. ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ, დიდი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, სრულიად მარტო ვიდექი რუსთაველის გამზირის დასაწყისში და გასტროლიორების გამოსვლას ველოდი. ისინი ხან თითო- თითო, ხან ჯგუფ -ჯგუფად გამოდიოდნენ თეატრიდან და თავ-თავიანთ გზას მიუყვებოდნენ. იმ საღამოს ასე არ მოხდა. რუსთაველს მთელი დასი ერთად დაუყვა ელბაქიდის დაღმართისკენ.

დავემგზავრე... მარჯანიშვილის თეატრს მიადგნენ. შევიდნენ... შევეყვი. დასხდნენ... დავჯექი. შუქი ჩაქრა და დაიწყო... იმ საღამოს ვერიკო საგანგებოდ მათთვის ევრიპიდეს „მედეას“ თამაშობდა...



გოგი ხარაბაძე

სიტყვები, ამ მართლაც თავზარდამცემი სასწაულის აღსაწერად, ჩემს არსენალში არ მოიპოვება. ან როგორ უნდა აღწერო აქტიორის განცდები, მისი ოსტატობის საიდუმლო, რომლის მეშვეობითაც ის მაყურებელთან მაკავშირებელ უხილავ, უნატიფეს ძაფებს ქსოვს. ბევრჯერ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ტრაგიკულია თეატრის მსახიობის ბედი, რადგან ის თავის მაყურებელთან ერთად მიდის, ის კი, რაც ფიორზე თუ მოგონებებად რჩება, მხოლოდ უფერული, უსულო ასლია ორიგინალისა...

„სოფრემენკის“ მსახიობები, თავად გამოცდილი ოსტატები, სულგანაბულები უსმენდნენ უცხო ენაზე მიმდინარე სპექტაკლს, მისი დამთავრების შემდეგ დიდ ხანს უკრავდნენ ტაშს... ყველაზე წონიან, ძვირად ღირებულ და ძნელადმოსახვევტ ტაშს – მსახიობის მიერ მსახიობისთვის დაკრულს...

რამდენიმე წლის შემდეგ, „ურიელ აკოსტა“ აღადგინეს იმავე თეატრში. კოტე მარჯანიშვილის მართლაც ლეგენდარული სპექტაკლი ცოტა მოწველურული კი იყო, მაგრამ ოცხელის დეკორაცია და აქტიორების დასი მაინც განუმეორებელ აურას ქმნიდა. მაყურებელი, მათ შორის მეც, მოწუხებული უცქერდა სცენაზე დატრიალებულ ვენებათა ღელვას. უჩვეულოდ გაიწელა ანტრეპტი მთელი და მესამე მოქმედებას შორის. დარბაზი აწრიალდა, ქანდარაც, სადაც ახალგაზრდები ვისხედით. მოგვიანებით ჩვენამდეც ამოაღწია ხმამ, ვერიკო შესვენების დროს ნაქცეულა, ხელი უტკენია და საავადმყოფოში წაუყვანიათ... მაგრამ უკან მობრუნდება, სპექტაკლის შეწყვეტაზე ცივი უარი უთქვამსო ...

ფეხი არავის მოუცვლია, მოლოდინმა თითქმის ერთ საათს გასტანა...და აი, დარბაზში შუქმა ნელ-ნელა დაიწყო კლება, ფარდა ჯერ განათდა, შემდეგ გაიპო და ამოძრავდა... შუა სცენაზე ოცხელის თეთრი, ოვალური სავარძელი გამოჩნდა.

ურიელი – პიერ კობახიძე, ივლითი – ვერიკო ანჯაფარიძე. დიდებული ივლითი, თეთრ თავსაბურველში, თაბშირში ჩასმული ხელით, რომელიც ისეთივე ქათქათა დოლბანდით კისერზე ჩამოუკიდია...

ყველაფერი ცხადი ხდება, საავადმყოფოდან, ტკივილისგან გათანგული ხელმოტეხილი, მაგრამ ამაყი და დაუმარცხებელი, ივლითი მაინც თავის მაყურებელთან ბრუნდება...

„მე აქ მოვედი, იმისათვის, რომ შენ ეს გსურდა...“ – გაისმის მისი ყველასგან გამორჩეული, მთრთოლარე ხმა.

სამარისებური სიჩუმე... მაყურებელი ფეხზე დგება... გრგვინავს ტაში... დიდ ხანს, დიდ ხანს...

და იწყება სასწაული, რომელიც, სამწუხაროდ, ერთჯერადია, მხოლოდ იმ კონკრეტულ სივრცესა და დროში დატრიალებული... მხოლოდ იქ და იმ დროს შემდგარი, იმ მსახიობებისა და მაყურებლის საიდუმლო, იმ მომენტის თავზარდამცემი სასწაული...



დიდი ხანია, ლიტერატურამ უფრო-ნალ-გაზეთებიდან ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცემებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას - ერთმანეთთან დაახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახდა.

დღესდღეობით საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს თუ რა გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ შევქმენით ყოველთვიური რუბრიკა - მკითხველის ხმა - რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა, ბეჭდური სახით გაეცნოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

დაინტერესებული მკითხველის დიდ ნაწილს მოეხსენება, რომ ლექსო დორეული კრიტიკულ წერილს - „ვირის კავშირი ლირასთან“ (ამ წერილში ლექსო დორეულმა მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულ ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურს „ალავერდის“ კორუმპირებულობა გამოამყდავანა და საზოგადოებას ამცნო უპრეცედენტო პლაგიატისა და ჟიურის წევრთა გაუგონარი არაკომპეტენტურობის შესახებ, რაც

გამოიხატა გამოჩენილი არგენტინელი მწერლის, ალვარო იუნკეს ცნობილი მოთხრობის - „საფრთხობელები“ - ზემოხსენებული კონკურსის კრებულში დაბეჭდვასა და მისი საუკეთესო ოცდაათეულში ვერმოსხვედრაში) - მოჰყვა ამავე ავტორის მეორე პუბლიკაცია „ალავერდი“ შენთანა ვარ, მკითხველო“ (ეს წერილი „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა), რომელშიც წარმოჩენილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებული ლიტერატურული კონკურსების კორუმპირებულობა. ახალგაზრდა პოეტმა და კრიტიკოსმა ამ წერილში დეტალურად განიხილა გამარჯვებულ და „დამარცხებულ“ ავტორთა ტექსტები, შეაფასა წიგნის შემდგენელ-რედაქტორთა მუშაობა და მივიდა საველელო დასკვნამდე: რომ კონკურსის მესვეურებისთვის შემოსულ ნაწარმოებთა ლიტერატურულ ღირებულებას მნიშვნელობა არ ჰქონდა და მათ ყოვლად არამხატვრული ინტერესების შესაბამისად გასცეს პრემიები.

სხენებული წერილი 1 თვის განმავლობაში ლიდერობდა ორი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული საიტის - urakparaki.com და literature.lit.ge - თავფურცელს. ლექსო დორეულის კრიტიკას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა და მათმა დიდმა ნაწილმა კი გაიზიარა კრიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მწერალთა კავშირთან მიმართებით. თავისი აზრი გამოთქვა უამრავმა ნეიტრალურმა მკითხველმა და მწერალმა. (კომენტარების საერთო რაოდენობამ რამდენიმე ასეულს გადააჭარბა).

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ ამ გამოხმაურებების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს.

კითხული არ მაქვს და სხვა ნაწარმოებებზე აზრს ვერ გამოვხატავ.

ავტორი: თამთა ბურდული

ქალბატონო თამთა, დიდი მადლობა გამოხმაურებისათვის. საინტერესოა თქვენი არგუმენტები.

1) სადაც „კალიასკა“ ნახსენები, ავტორს ეს სიტყვა ბრჭყალებში ჩაუსვამს, სიტყვა „პამიდორი“ კი - არა! ასე რომ, ეგ არგუმენტი, თითქოს პერსონაჟის ხასიათმა მოგვცა ეს „პამიდორი“ - არასწორია. მაშინ, თუ ასე ორგანულად და ბუნებრივად უნდოდა, ამეტიყველებინა ავტორს პერსონაჟი, „კალიასკას“ არ ჩასვამდა ბრჭყალებში.

2) მშვენიერად მესმის, რა არის მოთხრობის დედაზრი. აი, ავტორს კი იმდენი სამწერლო ოსტატობა არ ეყო, სრულიად უნებლიედ არ გაეშარყებინა ვაჟას გარდაცვალების სცენა. გასაგებია, რომ აქ ვაჟა არაფერ შუაშია, უბრალოდ ქალბატონ ირმას გამოუვიდა ასე, რაც სამწუხაროა...
ავტორი: ლექსო დორეული

1) კალიასკა არ უნდა იყოს ჩასმული ბრჭყალებში, გეთანხმებით, ანუ ეგ არის გრამატიკული შეცდომა, მაგრამ თქვენ არსად აღნიშნეთ ამ შეცდომის შესახებ, არამედ აღნიშნეთ, რომ დიალოგში ავ-

ტორს არ შეეძლო „პამიდორის“ ხმარება. საქართველოში, სხვათა შორის, არავისგან გამოვიდა: 1 კვ პამიდორი მინდაო. ასე რომ, არაბუნებრივი ან არაორგინალური იქნებოდა ის, რომ ავტორს ეთქმევინებინა გიჟი სიმონასთვის: „პამიდორის ყვავილები მოგიტანეთ ბატონო ვანო“.

2) რაც ვაჟას შეეხება, ვერ დაგეთანხმებით. სადაა გამარჯვებული ვაჟას სიკვდილის სცენა ან როგორ? თუ ნებისმიერი ავტორის გმირი მიიტანს ყვავილებს საფლავზე, ეგ ვაჟას გარდაცვალების სცენაა და არ შეიძლება ვაჟას სიკვდილის მერე რომელიმე ავტორის გმირს გაუჩნდეს სურვილი ვიღაცის საფლავზე ყვავილები ან ბალახები აიტანოს? ჩემი აზრით, მოთხრობა არის კარგი, რამდენიმე ადგილას კორექტურა შეიძლება გასწორებულიყო. მაგალითად, კალიასკა უბრჭყალებოდ უნდა იყოს, მაგრამ თქვენს კრიტიკას არ ვიზიარებ, რადგან დიალოგში ყველაფერი მოსულა, დიალექტიკა, სომხური ცავატანეც და ა. შ. და ბოლოს, თქვენ ამკარად ცდილობთ, რომ ავტორს მიაყენოთ თქვენი კრიტიკით შეურაცხყოფა, და ამბობთ, რომ მას მეზუთე კლასის წიგნიდან ახსოვს ეს სცენარი, რაც კარგ კრიტიკოსს არ ეკადრება. ამას აკეთებთ იმიტომ, რომ ავტორის დამცირებით მიაღწიოთ თქვენი წერილის უკეთ, უფრო მაგარ წერილად წარმოჩენას.
ავტორი: თამთა ბურდული

ქალბატონო თამთა, ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იქნებოდა თქვენთან დისკუსია, რომ არა ერთი. ცილს ნუ მწამებთ, თითქოს ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე. როდესაც ასეთ სერიოზულ ბრალდებას მიყენებთ, ავტორებს, დაასაბუთოთ. იმედი მქონდა, ჩვენი დისკუსია ბოლომდე ტექსტუალური და კონსტრუქციული იქნებოდა...

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ტექსტუალურ შენიშვნებს:

1) არაქართული სიტყვა - კალიასკის - ბრჭყალებში ჩასმით, ავტორმა მკითხველს აგრძნობინა, რომ, მიუხედავად იმისა, რა ლინგვისტური დისკურსის წარმომადგენელია მისი პერსონაჟი, ის (ავტორი) არ აპირებს, ენობრივი ნორმების გარღვევით წეროს. თქვენ ამბობთ, რომ ეს უბრალო კორექტურაა. მე კი ზემოთ მოყვანილი აზრი უფრო ლოგიკურად მეჩვენება. კორექტურაა, როცა მძიმე აკლია ტექსტს და ა.შ. ხოლო ბრჭყალები კორექტურის გამო ვერ გაჩნდება. და იმის შესახებ, საიდან და რა მიზეზით გაჩნდა ეს ბრჭყალები, ჩემი ინტერპრეტაცია უკვე მოგახსენეთ. მეც გეთანხმებით, რომ გიჟი სიმონა უნდა მეტიყველებდეს ისე, როგორც გიჟი სიმონა, მაგრამ თუ ავტორი ერთ შემთხვევაში გიჟი სიმონასეულ „კალიასკას“ ბრჭყალებში მისვამს, რითიც მაგრძნობინებს, რომ, მართალია, სიმონა ასე მეტიყველებს, მაგრამ მან იცის, რომ ეს ენობრივად არასწორია, რატომ არ იქცევა ის ასე სხვა შემთხვევებში? მგონია იმიტომ, მან არ იცის ამ ავადსახსენებელი ბოსტნეულის დასახელების სწორი ფორმა. თუმცა ამით ქვეყანა არ იქცევა...

2) რაც შეეხება ვაჟას... მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტის ანტიციპაცია ინტენციური ამკარად ვაჟას გარდაცვალებაზე „ურტყამს“ რეციპიენტს (ილინცურად), არც ესაა დიდი პრობლემა. სამწუხაროდ, მასალის სიდიდის გამო, მე არ მომეცა საშუალება, უფრო დანერგული განმეხილა ტექსტები, თორემ მერწმუნეთ, უფრო ცუდ დღეში ჩავაგდებდი მაგალითად, ამ მოთხ-

რობას. ეს კიდევ იმ მიზეზითაც არ გავაკეთე, რომ მოთხრობა უბრალოდ ამკარად სუსტია. თუმცა თუ გულს მოგეშვებათ, მინდა გითხრათ, რომ კონკურსის ზოგიერთი გამარჯვებულის ტექსტს მხატვრული ლიტერატურის რამდენიმე კატეგორიით აღემატება კიდევ. თუმცა ეს, ალბათ, უფრო იმ ტექსტების პრობლემაა...

და ბოლოს, „პამიდორის“ ხმარებისგან მეც, თქვენც და სრულიად საქართველოც ღმერთმა დაგვიფაროს!
ავტორი: ლექსო დორეული

მეგონა, ჩემს გვარსაც წავიკითხავდი გრამატიკის უცოდინართა სიაში, რასაკვირველია, სამართლიანად.

ბატონო ლექსო, ყველაფერში გეთანხმებით. იმედია, მომავალში მინც გაითვალისწინებენ დაშვებულ შეცდომებს, რითაც კონკურსის თავისი ფუნქცია დაუბრუნდება.

ავტორი: თამთა ბურდული

მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ წერილში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სარეცენზო ტექსტთა ენობრივ ანალიზს. როგორც წერილშიც აღვნიშნე, მე ახალგაზრდა ავტორებს არაფერს ვედავები; მე ვაკრიტიკებ კრებულის შემდგენლებსა და კონკურსის ჟიურის წევრებს, რადგან მიმაჩნია, რომ დაშვებული შეცდომები მათ სინდისზე უფროა, ვიდრე ავტორების. სწორედ რედაქტორების ნამუსზეა, რომ ისე ჩაყარეს წიგნი ტექსტები, არც ნაუკითხავთ! თუმცა, თამთა, ჩემი აზრი თუ თქვენთვის საინტერესოა, მინდა გითხრათ, რომ თქვენს მოთხრობას (საერთო ჯამში) დადებითად ვაფასებ. სამწუხაროდ, მასალის სიდიდის გამო, არ მომეცა ყველა ტექსტის წერილში განხილვის საშუალება. ისე კი, დიდი მადლობა უნდა გითხრათ - კრიტიკოსისათვის იმაზე დიდი აღიარება და ბედნიერება არ არსებობს, როდესაც მის მიერ გაკრიტიკებული ავტორი იზიარებს ნეგატიურ, თუმცა ობიექტურ შეფასებას.
ავტორი: ლექსო დორეული

დიდი მადლობა! ბატონო ლექსო, სიმართლე გითხრათ, როგორი გაუმართავი და სუსტი მოთხრობაც უნდა მქონოდა, მერჩვენა, არ დაგებედათ, ვიდრე მოხვედრილიყო იმ კრებულში, რომელმაც წიგნიერ საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენა.

უფრო დიდი უბედურება კი მწერალთა კავშირის რეაგირებაა.

ხანდახან მგონია, ილია ჭავჭავაძე არ აქვთ ნაკითხული, რომელ ალვარო იუნკეზეა ლაპარაკი.

მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანაში ასეთი რამ ხდება.

ავტორი: თამთა ბურდული

პირიქით, თამთა, უნდა გეამაყებოდეთ, თქვენს მოთხრობას სულ რამდენიმე ათეული გვერდი ამორებს იუნკეს გენიალურ „საფრთხობელებთან“; თქვენ და დიდი არგენტინელი მწერალი კი - ერთ კრებულში ხართ დაბეჭდილი. ეს „ალავერდი“ წარმოდგენილ ყველა ავტორს სიამაყით უნდა ავსებდეს! ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხუმრობით!
ავტორი: ლექსო დორეული

კაცო, ერთი რამ მაინტერესებს მხოლოდ - როგორც მოარულმა ხმებმა ჩე-

►► დასასრული 30-10 33.

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!“

ყველა სხლი, სდაც ზვენ ვართ, არის აცადემია.
ყველა აცადემია, სდაც ზვენ არ ვართ, არის სხლი!





ლევან ზარიძე

სული სამადლოდ ხომ გადმოგიგდეს, არც შენ არა ხარ მაგის გამცვეთი, ბედი რად უნდა ნეტა შენნაირს, ჩიტივით გყოფნის დარდის ნამცეცი.

ვიცი, იძინებ ზედმეტად ხშირად, დღეებს იბევრებ გაღვიძებებით და ახლა უკვე ყოველი წამის დროა შენახვის და დაძველების.

ხელებგამლილი დგას სასაფლაო, ქარქაში ხორცის და სულის შვება, გიყვებს ცხოვრება, როგორც სახადი, და ეგ სახადიც უთუოდ შენ ხარ.

ქარის დაკრულზე ცეკვავს ღრუბელი, ზარებს აცვიათ შენი კანკალი, მარადისობას ფლანგავ, არადა, წამიც აღარ გაქვს დასაკარგავი.



დიმიტრი გუშტაშვილი

გზა

ჰო, ეს მდინარეც უსათუოდ (და)ავა წყარომდე, სათავისაკენ თუ აყვები, თოვლის მთებამდე, ღმერთო, შენ ჩემი ხეტიალი დაამწყალობე, სანამ დაღლილი სხეულისკენ მოიხედავდნენ მშვიერი მგლები: სისხლიანი, მღვრიე თვალებით, სანამ ავდარი დამტორავდეს ხევში ჩარჩენილს, სანამ ამ მიწას, სანამ ამ ცას მივებარები და ქათქათა თმას გაიშლიდეს ბებიაჩემი. მიაქვს მდინარეს სიღრმეებში ბლანტი სიშავე, ჩემი დამხრჩვალ მგობრების ხელებს ვნახულობ,

იმათ მაკითხეს, ტალღა-ტალღა გადამიშალეს ჩემი ცხოვრება, სადგომი და საჭირნახულო, ძალზე ცოტაა (მე ის წყალი როგორ დავლიო), ნისლმა მიწა საჯიხვეზე – თეთრმა ბერხენმა, აღმოსავლეთით უწითლდება ლოყა ალიონს, ვინრო ჩანჩქერი ცივ ლოდებზე იმტვრევს ხერხემალს.

ჰო, ეს მდინარეც უსათუოდ (და)ავა წყარომდე, სუფთა წყარომდე (ვინრო წელთან ნახავ კალმახებს).

ღმერთო, შენ ჩემი ხეტიალი დაამწყალობე და თოვლის მთები საკუთარი თვალით მანახე.

„ლიტერატურულ საქართველოს“ ახალი რუბრიკა დაემატა – დღეიდან, თვეში ერთხელ, ახალგაზრდა მწერლები თავიანთი კოლეგების - ახალგაზრდა პოეტების საუკეთესო თითო ლექსს შეარჩევენ. ვფიქრობთ, ეს წამოწყება საინტერესო უნდა გამოდგეს მკითხველისთვის – პირველ რიგში, მათ თანამედროვე პოეზიის გამორჩეული ნაწილის გაცნობა შეეძლებათ; მეორეც, ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების მსგავსი ეკლექტიკური წარმოდგენა მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ასახვისთვის.

ახალ რუბრიკას შემოგთავაზებთ ახალგაზრდა მთარგმნელი სოფიო ჟღენტაძე



ბექა ახალაია

ჯიბრიანი პროტესტი 3

პროტესტს ვაცხადებ, ივნისი რომ თბილისს მოედო (ამ ქვეყანაში ჩემს შაირებს დალაქიც მღერის), გასუქდება და მოიგონებს ახალ დიეტას, პირდაპირი გზით არჩეული ქალაქის მერი,

პროტესტს ვაცხადებ (მართალია თუმც კი უზადოდ) – სადღაც უდაბნოს უცნაურად ასდის მირაჟი, პროტესტს ვაცხადებ, მეგობრებო, ყველა მუზა რომ პოეტის ტრაკით ბინავდება ისტორიაში!

პროტესტს ვაცხადებ, ჩვენი ქუჩა ვიღაც ახვარმა, „პოლიტკოვსკაიად“ მოგვიწოდებდა, თუნდაც „იოსებ ბროდსკი“ დაერქვა, ანდა სულაც (ვინ გაგახარებს) – ნუკრიას ქუჩა, ან ნიკასი, ანდა გიოსი!

პროტესტს ვაცხადებ – მოგვეძალა მუქი ფერები, ჩემს ჭინჭილას კი რა ხანია ღვინო ვერ ავსებს, პროტესტს ვაცხადებ, რადგან ვიცი, ყლეთა მსვლელობა ზარ-ზეიმით რომ იმართება ყოველ პარასკევს!

ჰოდა, დაფუშვით... ან ჯანდაბას, რაღა დაფუშვით (ყელში ბოღმა რომ გეჩხირება, კაცი ვერ ტირი) – ერთი სული მაქვს, მაუზერით მსხვილად დაფუსვა შუბლის კუთხეში საკუთარ თავს ტყვიის ნერტილი!

გამომდინარე ყველაფრიდან, დავთქვი ამ დილით (თქვენ ჩემი თავში ავარდნებიც აღარ გაოცებთ) – ყველა პანთეონს მივაფურთხე, მიწა ადგილი ქვედაჩხორონყუს მიყრუებულ სასაფლაოზე!



კაკუნა გიორგაძე

ბიბი (ცირკულაცია) 18+

ბიბის არ უყვარს, როცა უშლიან, ბიბის არ უყვარს, რომ ასწავლიან, ბიბი ყოველთვის გადაკრულშია, ბიბიმ გუშინაც ბევრი დალია,

ბიბის არ უყვარს ღმერთზე ბაასი, ბიბი არ იცნობს მღვდლებს და მორჩილებს, იუმორი აქვს ბიბის ხალასი და კუმირად ჰყავს უინსტონ ჩერჩილი.

ბიბის იცნობენ, როგორც მანიაკს, ბავშვებს უშლიან ბიბისთან თამაშს, ბიბი ჩიკაგო ბულზის ფანია, ბიბი ბ. ბ. კინგს თვლის ბლუზის მამად.

ბიბის აკლია გულში აორტა, ბიბი მიხედვას თავს არ უპირებს, რაც არის, იცის ბიბიმ აბორტი, ბიბი ამიტომ არ მასტურბირებს.

ბიბი იდეით ტერორისტია, ხშირი სტუმარი ანათემათა, ბიბის არ ცნობენ, როგორც ქრისტიანს, ბიბი ლუდისთვის მიდის ემშაკთან.

ბიბის არასდროს არ ჰყვარებია, ბიბი დაღალეს ცის მარმარებმა, ბიბის არ მოსწონს, რასაც შვრებიან, რასაც შვრებიან, ბიბი არ შვრება,

ბიბის მონევა უყვარს ძალიან, კვამლზეც დანერა ბიბიმ პიესა, ნუხელ ქუჩაში უწანწალია, ერთი ღერი რომ ვინმეს მიეცა.

ბიბის სიმრავლე ამშვიდებს ღერთა, ბიბი, ლამის და, შეჭმული ჯღიბით, თუმცაღა ბიბი ახლოა ღმერთთან, ღმერთთან ყველაზე ახლოა ბიბი!



მერაბ არაქშული

დედი

დედი, სახვალოდ საგძალ გამიმზადე, უნდა გადავიარ ჭიუხ ნისლიანი. კაი, რაად სდარდობ, აღარც ბაღლი ვარ და თოვლიც ცოტაღაა, შავი და ჭიანი. დედი, გახსოვს, ალბათ, ეს რომ გითხარი და დილას ნაბილიკარს ავჰყევ დეკიანის. მაინც არ იშლიდი, მაინც ჩამაცმიე პაპის ქალბანნი და პერანგ ჯვრებიანი. დედი, გეფიცები, ხარ-ჯიხვ დავთოფე და

▶▶ დასასრული 30-12 33.

►► 82-11 გვერდიდან

მერე გადმადრენილ
ქარაფს დავეკიდე.
დედი, მაპატიე,
სანამ დავენარცხე,
შენზე ვფიქრობდი და
აღბათ, სხვებზეც კიდევ.
დედი,
მე მოგკვდი და
ესეც მაპატიე,
იცი?!
იმ ხარ-ჯიხვსაც
შუნი დასტიროდა.
ახლა,
აღბათ, მამაც
ჭიქას აიღებს და
ჩემი მასპინძლობით
იტყვის უდროოთას.
დედი,
ჩემ საფლავზე
იმ შენ იასამნებს
უდგათ პერიოდი
ლურჯად შეფერების...
იცი?!
ყოველ ღამე შენთან მოვდივარ და
შენ თმაში ჭაღარებს
ჩუმად ვეფერები...



მარი ავათია

ძილისპირული

ფანჯრიდან;
ვერცხლის ხეები ლენავენ სივრცეს,
ქარია დატეხილი.
ასეთ ამინდში ვინმეს წერილი მაინც უნდა
მისწერო,
ჩიტებივით უნდა დააფრინო სიტყვები,
ფურცელი, როგორც წყალი, ისე უნდა დუღდეს,
მოხარშო ყველა მსხმოიარე კადრი, ემოცია,
აცადო, კარგად გაუფდეს რეალობის გემო
და მოინვიო სადილზე ის მეგობარი,
რომელსაც უყვარს შენი გაკეთებული საჭმელი,
შენი მოყოლილი დახრილი სევდა
და შენი თვალებით ნაიღებს:

ვირუსიანი მინდვრისთვის
როგორ დაუყრია მკერდზე ცხენების ჯოგს,
ცა – თუთისფერი სხეულით რომ
ანვება კლდეებს
და თითქოს ობიანი პურები აღმართულან,
შენ კი დგახარ და უხეშ მელოდიად
იფერთხავ სხეულიდან სუნთქვას,
თან ვერაფერს ამბობ,
ენა გილპება პირში.

ფიქრები – როგორც დამსკდარი ბრონეულები –
გადამწიფებულან და იყუჩებ წამიერად,
გზას ემსგავსები,
გათენებამდე რომ წურავს სათქმელს
და აღარაფერი გრჩება იმაზე ახლობელი,
ვიდრე მარტო დარჩენილს ფიქრის გადადინება.

ასე ხდება!
ნაყრდები საკუთარი თავით
გაღვივებულ სიცივეში
დღის ბოლოს
და გყოფნის ეს დანაყრება იმისთვის,
რომ მოგენატროს;
ყველაზე მეტად რაც გაკლია, მზე არის,

რომელსაც იხსენებ: „რამდენიმე დღის წინ,
როგორც დაჭრილი ირმის მზერა, ისე ჩავიდა
და მას მერე აღარ გინახავს“.

ძილისპირული –
ხმაურს ბავშვივით აძინებენ
ყველა ზღურბლს იქით.
ამჩნევ და არ იმჩნევ, რომ დაღლილი ხარ.
იყო თუნდაც უმნიშვნელო
იმ ქალაქისთვის, –
გაყინულ თითებს რომ გაგონებს, –
მაგრამ ეჩვევი.
ერთი სული გაქვს, დაიძინო...
თვალები კი წყლიდან ამოყრილი
თევზებივით ფართხალებენ,
არადა, გათენებას აკლია მტკაველი.
გაპყურებ ოთახის ბოლოს,
როგორც შორეულ ჰორიზონტს,
და შენი გული შიმშილით ივსება...

გარდაუვალია.
ეშვები.



სულხან ნულუკიძე

●
გამიჭირდება ამ ტკივილის
ტარება, ვგონებ,
რადგან სულერთი აღარ არის,
რა გითხრეს სხვებმა,
პოეზია კი, ჩემი აზრით,
უფროა თონე,
რომელშიც ახალმოზეულილი
პოეტი ცხვება...

უძილო ლექსებს ღამეების
გვერდით ვალაგებ
და თითქოს სტროფებს ვინახავდე
უფრო გულიანს,
პოეზია კი, ჩემი აზრით,
არის ქალაქი,
რომელიც მზიან ამინდებშიც
გალუმპულია...

ვუცქერ კალენდარს, თვითმკვლელობის
შიშით შედგენილს,
უსიყვარულოდ დარჩენილი მქვია აშული,
პოეზია კი, ჩემი აზრით,
არის რენტგენი,
სხეულში ლექსად გამომწყვდეულ
სულს რომ აშუქებს...

ასე ვფიქრობ და ორგანიზმში
ველარ ვაკავებ
გრძნობებს, რომლებსაც მოესიათ
ტკივილთა წყება,
პოეზია კი, ჩემი აზრით,
არის აკვანი,
სადაც პოეტი
ნებისმიერ ასაკში წვება...

და ვდგავარ ახლა დაწყველილი
დღეების გვერდით,
რადგან ტაძართან მიმავალი
ბილიკი არ ჩანს,
პოეზია კი, ჩემი აზრით,
უფროა ღმერთი!..
ჯვარზე – აღდგომის შემდეგაც – რომ
გაკრული დარჩა...



ოთარ ჯირკვალიშვილი

ბიბლიური შემოდგომა

კაცობრიობამ ტრუსიკი რომ შეისისხლხორცა,
მაშინ ჯერ კიდევ ფოთოლცვენა სულში არ იყო.
ფარაონის დამ კუპალნიკში წითელ ნილოსთან
კაცობრიობის მომავალი ფეხქვეშ გაიგო...

კაცობრიობა დაემსგავსა უწმინდურ ფარას,
ის თავის ბინძურ მისწრაფებებს ძონძებით ფარავს!

დავუშვათ, მოსემ ეგვიპტიდან გამოგვიყვანა,
ამ ჭრელაჭრულა ტანსაცმიდან ვინ გამოგვიყვანს?
თითქოს განცდისთვის დაგვინესა ღმერთმა ბეგარა,
რომ სულ გვინდოდეს ეგვიპტეში კვლავ დაბრუნება.

მახსოვს, ევამ რომ არ ისურვა მცირე ხნით მოცდა,
რამზეს მე-2 მეჭურჭლეს რომ ხეზე ჰკიდებდა,
ფარაონის დამ ტრუსიკი რომ შეისისხლხორცა, –
მაშინ ადამი ფოთოლცვენით სულს იმშვიდებდა!..



გიორგი არაბული

●
„ზეცას შახენეო, აპარეკავ,
მთვარე დათვისჯვრისკენ იტოლება“,
„ქალავ, შავ თვალთ რაად მაპარებავ,
ანამც ჭერხოში რად მიყოლებავ?!“
„დღეს მე შენ სწორფერი ვიქნებო,
ღამე გავიტანათ საუბარით.“
„ქალავ, ნუ ამირი ფიქრებო,
მამშორდ, გაიგონე ნაუბარი!“
ზეცა უკეცია ვარსკვლავთ ფარდას,
მთვარეც განუღლა დათვისჯვრისკენ,
„ვაჟავ, სად ნახვედი, აღარ სჩანხარ,
ნეტავ, შენ სწორფერსამც დამიციდიდე.“
ღამე უტეხია მათ საუბარს,
დილა გათენებულ ნამიანი,
რიჟრაჟს არყიანი ბოთლა უყვარს,
ბოთლა ნაჭრელიან-სასმლიანი.
სწორფერმ მიუტანა ბოთლით არაყ,
დილამ შუადღისკენ გაიწია,
კაცმა ყანწით სასმელ გადაცალა,
მერე ეშმაკურად ჩაიციწა.
ქალმა ლუკმა მისცა... თავ დახარა,
„კიდევ ერთი სთქვიო ხევსურისა...“
სასმელმ კაცის გონი გადაფარა
(თანაც ის სწორფერი გვერდს უზის და...),
„... რაებს ვაზრობ, ღმერთმა მარისხას და...“ –
შერცხვა, გადაეკრა სახადის ფერ...
ნელა გადავიდა დათვისჯვარს და
ბილიკს გადაუყვა ხახმატისკენ.

ილიას გულით, ილიას გზით, ილიას სიბრძნით...



ვარნაო რაინაული

ლამის გაჩერდეს –
დარდის ზვავით,
ამ გულის ფეთქვა,
იქნებ,
რაც მინდა, –
მოსაფონად,
ის,
ისე ვერ ვთქვა?...

გარს დაგვტრიალებს
უამრავი –
ჭინკა და
ალი...
რამდენმა –
ხარბი,
ალმაცერი,
დაგვადგა თვალი...

XXI საუკუნე
ისეთი დროა,
არ ვისურვებდი –
წამითაც კი,
რომ ვიყოთ
ტროა...

არ დაგვრჩეს
ოხრად –
უფლის ბალი
და უფლის ზვარი,
„როგორც – არასდროს,
ფრთხილად – ახლა!“
გუგუნებს ზარი...

ქვეყნად –
რამდენი ალიგავა
პირისგან მიწის...
რამდენი –
ჯიში,
მოდგმა,
გენი,
ისევაც იწვის...

რომ ავიცილოთ
ბედი –
ქვე თხრის,
ქვე ნგრევის,
ქვე რყვის,
არჩევნებია –
სასიცოცხლო,
მესაჭის, -
ქვეყნის...

ნუ ჩავყრით
ხნულში –
ხალხისთვის და
ქვეყნისთვის
ავ თესლს,
მოვიმკით მასვე, -
უცილობლად,
დღეს
რასაც დავთესთ...

ნათელი ხვალის
დღესვე,
თვითონ,
ჩვენ, თუ, არ ვქაჯეთ,
ნუ დავაბრალებთ –
მერე,
ჯვარცმას –
ეშმაკეთს,
ქაჯეთს...

ვითაც ვთქვით:
თეთრზე – თეთრი,
შავზე-შავი, –
ნამდვილი რაც არს
და... ახლა მაინც,
ნუ შევიყრით
თვალეში ნაცარს...

ვიცი, -
ნაღდ ქართველს
სულიც,
გულიც,
დღეს
როგორ უთრთის,
მოედანია კაცობისა,
და... აგერ –
ბურთიც...

ძველნი ამბობენ:
„კვერთხი, როცა
უპყრია შიმშილს,
ყველა ურჩხულის
იქ მთავრდება –
რიდი და
შიში“...

ვინც ცდილობს, -
იქცეს –
არჩევანი,
სიყალბის არხად,
ის –
სინდისსა და
მთელი ქვეყნის
მომავალს მარხავს...

მე, –
არც ვაქებ და
არც ვაძაგებ,
არავის
უნინ,
ჭეშმარიტება
არის ერთი,
არ არის ლუწი...

რომ აღარ დაგვწვას
ჯოჯოხეთის –
ალმა და
ალხმა,
აქ დასკვნა
თვითონ გააკეთოს
ერმა და
ხალხმა...

ყოფნა-არყოფნის
გამოცდაა, -
არ ვიქცეთ
დახლად,
არ დაგვაფინყდეს,
არ გამოგვრჩეს,
არ შევცდეთ
ახლა...

ამოიწურა, -
აღარ არის
მოთმენის ძაფი,
ეპოქა –
მსგავსი,
არ ყოფილა, -
ფლიდი და
მძაფრი..

ვითაც ვთქვით:
თეთრზე – თეთრი,
შავზე-შავი, –
ნამდვილი რაც არს
და... ახლა მაინც,
ნუ შევიყრით
თვალეში ნაცარს...

ჯერ არ ნაშლილა,
რაიც ვლვარეთ –
ცრემლი და
სისხლი...
არ გვაქვს უფლება
გადაცდომის,
არც ერთი მისხლით...
დღეს
ბენვის ხიდზე
გავდივართო,
ნალვერდლით ვწერდი,
დღეის შეცდომა
ერის მიზანს
დაუსვამს წერტილს...

თუ, შეეშალა
არჩევანი,
ამ ბენვზე,
ქართველს,
რითაც ვამაყობთ, –
სამუდამოდ,
გავატანთ ქართველს...

გაგვინყდა ქანცი
და... როდემდე? –
რა გვინდა ბოლოს?..
სიხარბემ,
ხვეჭამ,
ეს საფუტკრე
რამდენჯერ ბოლოს?..

ჩვენ
ახლა გვინდა,
ვით არასდროს,
განსჯა და
ცოდნა.
ბევრი ცოტნეობს
სიტყვით,
მაგრამ...
ვინ არის
ცოტნე?..

სატანამ,
ეგზომ
შეიცვალა
სხეულიც,
სახეც, -
მზაკერის
ლიმილით
რომ დაგვიგოს
ათასი მახე...

ყველამ
ხომ ვიციო,
ვინ – ცხვარი და
ვინ მგელი არი...
საიდან მზეა
და საიდან
უბერავს ქარი?..

არ გავატანოთ
საქართველო
ამ გრიგალთ,
ამ ქართ...
თანამდგომთ,
ერთგულთ,
ულალატოთ
მოვუხმოთ
ამქართ...

და ერთსაც ვიტყვი,
თუ არ არის
ეს აზრი ხვითო,
თუ ვცდები, –
შევთხოვ,
მომიტევოს უფალმა
თვითონ...

ვინაც
ცხოვრებით
არ ცხოვრობსო
დემოსის ალბით,
ის
ვერასოდეს
გაიგებსო
ტკივილებს ხალხის...

გამოცდილების,
სიბრძნის,
ცოდნის
ხამს,
მუდამ
მზე – ბჭედ,
მეც ასე ვფიქრობ,
თუმც, ჩემს სიტყვას
არ ვარტყამ
ბეჭედს,
არ შეგვეშალოს
ზეცის სარკედ
ღრუბლების ჯარი.
ჟამს
არჩევანის,
ღმერთმა მართალს
დასწეროს ჯვარი...

ამ სამზეოზე
ჩვენი ხსნისთვის,
გზა არის
ერთი...
ჭეშმარიტებას
თუ მივინდეთ,
მოგვხვდავს
ღმერთიც...

დაე, აღსრულდეს,
სიმართლისთვის
რაიც კი ვიბრძვით,
ილიას გულით,
ილიას გზით,
ილიას სიბრძნით...

პოეზია



თენგიზ სვანიძე

გაკითხვებით!

განუდექ ეშმაკს, სანამ ხალხი თავად გაგრიყავს, გულიდან ყველა ავი ზრახვა ამოიყარე...

თუ სიძულვილი სიყვარულით არ დაიძლია, ქვეყნიერებას მამაღმერთიც ვერ გადაარჩენს!

რა მოვუხერხო გრძნობებს, გულში გაბარდულ-გართხმულს, ქვეყანა განა მარტო მინა, ცა, ზღვა, მდელოა?..

გაიძვერული დაპირებით, მიმიკით ყალბით, თუ შენს გუნდს გარდა, ყველას აძრობ ტყავს, როგორც მერქანს,

ის რა საუკუნე დადგა!

პროგრამა – „პანდორას ყუთი, ალთქმა – ცრუპენტელა ვაცის... ისე როგორ გამოყრუვდით,

გაუმარჯოს მსოფლიო საბიჭეთს!

„ნაციონალთა“ უმრავლესობის უმცირესობას

* ყვავები ყრანტალებენ!.. ბულბულებს ყელზე ყულფს უჭერენ!.. კატებს აყეფებენ!..

* ქვეყანას გიჟები მართავენ!.. გიჟი მრავალნაირია! გიჟი – განდიდების... გიჟი – სექსის... გიჟი – სიცრუის... გიჟი – სიყვარულის... გიჟი – სიძულვილის... გიჟი – მეგობრობის... გიჟი – სიგიჟე ნებაყოფლობითია!..

* სიგიჟე, მსხვერპლზე თავდამსხმელი, ნადირის ჩუმი ნაბიჯებით პოეზიის სივრცეშიც შეიპარა: და იბადებინა ლექსები: ეპილეფსიისანი, ელამნი, კუზიანნი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

* უნიჭობა ნიჭზე ბატონობს!!! ეს საუკუნე გიჟებისაა!.. ქვეყანას გიჟები მართავენ!.. როცა ყველაზე დიდი გიჟი ქვეყნის სათავეში ექცევა,

* დრო ამართლებს გენიოსის ნათქვამს: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია!“ სიცოცხლე შეგვაძლეს: შიში, შიმშილობა – ქვეყანა გამათხოვრდა!

* ჯოჯოხეთი გიჟებისაა! გადის ხანი და ზოგჯერ ჯოჯოხეთიდან ნამკურნალები გიჟები გამოდიან, მაგრამ საკმარისია, მცირე წინააღმდეგობას ნააწყენდენ და მათში უმაღვე იღვიძებენ მიძინებულნი,

* გიჟი იმიტომ ბედნიერი, რომ უბედურია!!! უბედურს კი არც გულს ჩუქნიან და არც არაფერს ეკითხებიან!.. სამყარო სხვადასხვა რჯულის გიჟთა სამყოფელია.

* გიჟობა – დროის ეპიდემიაა!.. სიცოცხლეში, ცოტა ხნით მაინც, ყველანი გიჟები ვართ, რადგან ჩვენშიც გიჟების გენია!

გაუმარჯოს მსოფლიო საგიჟეთს!!!

2007 წ.

სიმართლისთვის ადე, მონა!

ზოგმა გული ანაღმართა, ზოგმა გული ადემონა... ყველა კაცი თვის ბედს მართავს, სიმართლისთვის ადე, მონა!

2011 წ.



მარინა ტაქტუჩანია

ციცინო ბაბუციძეს

სასონარკვეთილ სამშობლოდან – შიდა ქართლიდან სიძველის მტვერი გამოვიყოლე... უმომავლო წარსულის მტვერმა შემოინახა საკუთარ თავში მკვდართა სიჩუმე, ლიხვის ფსკერზე ჩაძირული ოცნებების სასაფლაო. დიდ ქალაქში ფეხსაცმლით მომაქვს ჩემი ერთი გოჯი მამული, სასონარკვეთა და სიხარული, გასანმენდად გამზადებულს ამიტომაც დავყურებ სინანულით, მირჩიეთ, როგორ შევძლო და სამშობლო როგორ ჩამოვირეცხო?!

მეამბოხე

თინათინ სალარაძეს

სანამდე მარტი ითავებებს სულის სარკმელში, სანამ პეპლებით ავსებულან თბილი ქუჩები, ერთი იისგან ჩამოგიქსოვ სასძლო ხალიჩას, იყურე, ბალო, ბედისწერას ნუ ეურჩები.

ათინათები იჩემებდნენ თინათინობას მაშინ, როდესაც კისკისებდი ანცი მარტივით, პეპლების ფრთებმაც უმსუბუქეს ფერიად გზიდეს, ცხოვრებაც იყო ისე ლალი, ისე მარტივი.

მაშინ, ხომ მახსოვს, მეც შენსავით ვფრენდი ზეცაში, დამსხვრევის შიშით ფრთებს მიწვავდნენ ჩემი მშობლები, დანარცხებულს კი, კვირტს რომ აკრთობს, მაკრთობდა ქარი, მწვავე ტკივილით შვავდებოდნენ სულში კოშკები.

აღარ ვარ ურჩი, აღარც რა მაქვს იქნებ საურჩო, მშობლების არა, სხვების გავხდი მონა-მორჩილი, და მაინც მესმის, ქარიშხალი რაზე საუბრობს, თუმც ზურგის ქარმაც მილაღატა, გახდა ორპირი.

ასე თვინიერს, აღარ მაკრთობს მზეთა ამოსვლა, არც მკვდარ ბელურებს გავუმართავ ანი პანაშვიდს, სატრფოს წერილის მოლოდინიც უკვე ამოა, ხსოვნიდანაც ვშლი ძველ ბარათებს – ცრემლით ადაშლილს.

უფრთხილდი სიზმრებს, მათ იციან ხშირად ლალატი, ცას გაფრენენ, რომ მეამბოხედ ხელახლა იშვა, აჰა, ეს ლექსიც, მეგობარო, დაო და შვილო, სიყვარულის და გაფრთხილების ღვთაებრივ ნიშნად.

შეგვიხდა

ბოლო წლების საქართველოში უამრავმა ადამიანმა დაამთავრა სიცოცხლე თვითმკვლელობით. ამ ლექსს მათ ვუძღვნი.

აქ არ ვარ, სადღაც ვარ, არყოფნის საზღვარზე, დაკარგულ ცას ხმობენ აქ უფრთო ჩიტები, იქ, შეუცნობელის მიუწვდომ სიზმრებში მარადი სასიძოს ლოდინში ვირთვები.

გაცრეცილ მირაჟში ლანდები მიხმობენ, მეძახის შორეთი – უცხო და უჩვევი, გრუხუნებს ორკესტრი, თვითმკვლელობა მეჯლისზე მელიან და ნასვლას ვერ გადავურჩები.

არ ძალმიძს ცხოვრება ნილის-ნილ წყურვილით და, თუკი ბორძიკით შენკენ ვდგამ ნაბიჯებს, შემინდე თვითმკვლელის გულწრფელი სურვილი, ამისთვის ნუ დამსჯი, ნუ გამინაპირებ.

როცა სულს კუნავენ დანით ან რაპირით, მუჭში მომწყვდეული სიკეთე მეპნევა, შეუნდე ჯალათებს, შეუნდე ვამპირებს, როს ტყვე სულს მოწყდება ეს ხორცი-საპირე...

იქ, იმათ ზეიმზე ზეობს მიტყევა, მრავალგზის ნატკენ გულს გითბობენ კეთილ მზეს, მღერის სათნოება, ცეკვავს სიკეთე და გადწყდა, მივდივარ თვითმკვლელობა მეჯლისზე...

შენი მზის ნათელი მომადლე ტარიგებს, მათ სულში ღირსების ლადარი ნაღვერდობს, აჰა, ეს სიცოცხლეც, მეტს ველარ გავუძლებ, ჰა, ჩემი სიცოცხლეც, გიბრუნებ, ჰა, ღმერთო!

გულნატკენ დიდ ბავშვებს, შეგვიხდა თვითმკვლელებს, შეგვიხდა, გამჩენო!..

სამშობლოს

ჩემი ოცნება შენ გეკუთვნის, ჩემო ქვეყანავ, ჩემი ლექსებიც, რამეს, ახალს, გეტყვი მე, განა?.. მაგრამ.. შენს მთა-ველს თვალს ველარ ვწყვეტ, ვუმზერ ერთავად, ეგ სილამაზე ზიარია თვითონ მზესთანაც...

შენს მთებს ვუმღერო და შენს ზეცას, სამშობლო მხარევ, შენი უზადო სილამაზით გულს რომ მიხარებ, შენით თენდება მზით ნაქარგი დილა – ცისმარე, და... მაგ მშვენების სიყვარული მე ვერ ვიკმარე...

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები მართმევენ თავს... ლოდინი, ლოდინი, ლოდინი, დროს ველარაფერი კლავს... ხან აზვირთდებიან ტალღებად. ხან არც გამოსცემენ ჩქამს, მე მაინც სულ შენზე ვოცნებობ, ეჭვს გულში არ ვივლებ, ავს... მსურს, რომ ერთად ვიყოთ, ძვირფასო, ყოველდღე, ნუთსა და ნამს.

გაზაფხულის სურათი

უხმოდ მიაბიჯებს თებერვალი, ლურჯად მომანათებს თვალს ია, მზის სხივმა დალაშქრა მთის მწვერვალი, გულიც ნეტარებით ანთია.

მუხამ მხრები ლალად გადაშალა, თავი მოლოდინით აწია, ბულბულს მიეფერა ლამაზთვალას, მკერდში ჩაიხუტა პანია.

ნაზად აკუნტრუშდა ტყე შიშველი, ხეებზე ციყვები დახტიან, რუც მხნედ მოიმღერის – ფეხშიშველი, სიცოცხლე ხალისობს, მარტია...

მე შენთან ყოფნა მეამაყება...

როცა ცისკარი ივსება ღებნით, როცა ცად ღრუბლებს მზე აფერადებს, როცა ატმები ღიმითა ჩენით იცვლიან კაბებს ფერად-ფერადებს,

როს სარბიელი ფიქრების რემას აქვს უსაზღვრო და უკიდევანო, მზეს უაღერსებს ბულბულის ენაც, მზის სიყვარულით უღბინთ ყველგანო.

როს სტვენს ბულბული ცისკრის ლოცვისას, მე შენ მიცვნიხარ – მზედ და ხატებად, მიყვარხარ, გეტრფი, დამილოცნიხარ, მე შენთან ყოფნა მეამაყება...

საძარბველოს ცას

საფირონი იმად მიყვარს, ფერით რომ ჰგავს შენი ცისფერს, მთებიც – სხივით მოსირმული – ზეცის თვალთა ფერით მიცქერს.

ამ ოცნებით სავსე ცის ქვეშ გზას რომ მივღევ მთა-კორდიანს, –

გულს უხარის, შენი მდელიც თვალწარმტაცი ნალკოტია.

აფეთქებულ ყვავილთ თქეშსაც, კეკლუცთა და ტურფერიანთ, შენთვის, ჩემო საქართველო, სიყვარულით უმღერიათ.

ვერ ვივინყავ მაგ თვალს

გაზაფხული ხელებს მიშლის, – შენზე მეჩურჩულება, გულში სითბო შენი სიტყვის დარჩა უკვდავ თქმულებად.

ხეთა ჩურჩულს გვერდს ავუვლი, ვერ ვივინყებ მაგ თვალს, თვალს გარიდებ, მაგრამ გულით შენს სიყვარულს ვატარებ.

იყოს უპრატი...

ველტვი ოცნებას, ტრფობის ზღვას, მნადია კარგი ლექსის თქმა, არას ვინატრებ ქვეყნად სხვას, მუდამ მატკობდეს შენი ხმა.

ვისხდეთ თუნდ ჩიტის ბუდეში, ნალველს ვატანდეთ ნიაგ-ქარს, მზეს ვიხუტებდეთ უბეში, ვუმღერდეთ დღეებს, ლამაზს, მტკბარს.

გვექონდეს სიკეთე უღვევი, ჩვენ შეგვხაროდეს ყოფით სხვაც, გვათრობდეს ყვავილთ სურნელი, იყოს უპრეტი ტრფობის ზღვა.



თინათინ მრეკლავილი

ნ ა უ რ ჯ ა თ ე ვ ი

ქველი რვაულიდან

თავის მოტყუება

ერთადერთი სიცოცხლეა,
რაც თვითონ ღმერთს მოუცია;
სად მომხდარა – კორუფციით
ამარცხებდნენ კორუფციას?!

ნამეტანი გათამამდნენ

(ერთი კაცი შეიმედება)

გვირგვინი რომ დაიკოსეს,
თავს თვლიან კლასიკოსებად,
ვიცი, მარტო შენ ეყოფი,
დაყვერავ, აქცევ ქოსებად.

უსინდისობა

(ველური კაპიტალიზმის სახე)

სასიკეთო რა მოჰყვება
მათ გაძღომას და გასკდომას.
თუ გადაჰყვა საქართველო
ხუთასამდე კაცის სტომაქს.

მთავარი მიზეზი

ვხედავთ – დრო დადგა თქველფის და ჭამის,
ქართული წიგნის ვხედავთ გაქრობას;
სხვა ჭირთან ერთად, მიზეზი ამის –
თვალთმაქცობაა და სოვდაგრობა.

ამასაც მოვესწრებით

მაღე მოხდება ალბათ –
დარბაზში, გამოფენის,
სექსის გახსნიან კუთხეს,
წამოჭიმავენ პენისს,
თან წაანერენ ზედვე:
„აზრი ცხოვრების ჩვენის“.

ეჭვი

ჯერ გავაკეთოთ მთავარი,
მერე მივხედავთ დანარჩენს;
ვირთხის წელია, არძინბა,
ვაითუ, ისევ გადარჩეს.
(1996)

რესტორნების ბუმი

ამას წინათ ქართველების
ზნეს, ხასიათს ვაჯამებდი;
სწორი იყო დიდი ვაჟა,
რომ დაგვარქვა „სმა-ჭამეთი!“

მარადიული ჭიდილი

დავიბარებ – ერთმანეთს
თუგინდ ეამბოროთო,
ვერავენ შეგარიგებთ –
კეთილო და ბოროტო!

პაციფისტები საქართველოს ხარჯზე

(გადაცემა „თემა“)

რუსეთის ტელეხედვაში
თავს იყრის ბევრი ყბედი,
გმირი უწოდეს ბასაევს,
მომწყობს ქართველთა ჟღერის,
როცა ჩეჩნეთზე დღეს ამდენ
სიტყვას ხარჯავენ კეთილს,

რატომ გაგრის და სოხუმის
არ ანალვლებდათ ბედი?!

გიმუხთლებს!

ნუ ერწმუნები უპიროს, გაქნილს,
გაგეპარება, როგორც ნიორი,
არ დაიჯერო სიკეთე საქმის,
თუ არასანდო გყავს პარტნიორი.

საუზმობა ქუჩაში

(ქანრული სურათი)

ქალმა ფუნთუშა აიღო,
თან გახსნა „კოკა-კოლა“,
პირველი – იქვე ჩაკბინა,
მეორე – დააყოლა.

სანაპიროზე ჩავიარე

სადაც წიგნები ელაგა ადრე,
სავსეა დახლი ხარახურათი;
დაკარგულია ყველაფრის ყადრი –
გულისმომკვლელი დამხვდა სურათი.

უზრუნველყოფილი

კაცმა მიიღო „სოროსი“
და შეძვრა თავის სოროში.

ვარიაცია ერლომ ახვლედიანის მოთხრობისა „ვანო და ნიკო“

მოიარა ლისაბონი,
ლონდონი და ნიქოზია...
ვანოს არაფერი დარჩა,
ყველაფერი ნიკოსია.

წენვა-გლეჯა

ვინაც შეძლო, გაიტაცა
იარალი ათობით –
ნაღმსატყორცნი, ავტომატი,
რევოლვერი და თოფი,
ვილას ახსოვს შენი წიგნი,
„ცისკარი“ და „მნათობი“,
მთავარია, ხელში იგდო
გასაყიდი ნავთობი.

ხორცმეტი

ჩვენს საშიშრობად შობილხარ
და შენდა გასაძღომარად,
როცა იქნება, გასკდები,
ხეპრევ, სიხარბის ტომარავ!

უფულო კაცის ჩავლა ვერის უბანში, ანუ ტანტალოსის ტანჯვა

გოჭი, წინილა, ინდაური – კარგად ნასუქი...
გრძელ გამოფენას, თვალსაჩინოს, თან ახლავს სია,
ხილი, სასმელი, ასნაირი, ტორტი, ნაზუქი,
გადატენილი ვიტრინები და ამ დროს... გშია.

გაოცება

სადაც იყო ბალნარი, შემეფეთა უდაბნო,
იგლიჯებით დღე და ღამ, თქვენც, ყაჩაღნო,
უთოფნო,
დაბნეული ვკითხულობ: „რაზევ ეტო უდობნო?!“

ჯანმრთელობის კერები

გამოცოცხლდა ცხოვრება,
გაუხსნიათ აკი –
ერთ პატარა ქუჩაზე
ხუთი აფთიაქი.

სისხლისმწოველთა კასტა

ძალზე მომრავლდნენ პარაზიტები
სახრავს არ თმობენ არასდიდებით.

ჩვენმა ცოდვამ უნიათ

გადახნეს მთელი ჩეჩნეთი,
სათესი და სათოხარი
და დარჩათ მომიტინგეებს
ჯოხზე აკრული ჯოხარი.

ვინ მიპასუხებს?

(ილიას ხმაზე)

შეება როსლა გელირსება,
საქართველოვ, ნახლომილო?
რა, ღვთისმშობლის, არძინბას და
ჩიბიროვის ნილხვდომილო!

ვითომ მორწმუნე

მოუღერია ყელი გედის,
თითქოსდა იყოს ანგელოზი,
ეკლესიაში არც კი შედის,
შორიდან იწერს პირფვარს ბოზი.

ჩვენი გამკოტრებელი

რის პროცენტ-დივიდენდები,
ჭირი მოგჭამეს ფულებმა,
კრულ იყოს ბანკი ასეთი
და მისი ხელშეკრულება.

ერთი ფარსადანის ფარსი

სიკეთენი დაივიწყე,
სუყველაფერს ქარს ატან,
ბრალს აქეთ მდებ, მასეთ რამეს
ნუ კადრულობ, ფარსადან!

ალხუიამ მიჩქმიტა

(მამონას მსახური)

მიგიხვდი, კუდი აგწვია,
ტაკიმასხრულად ხიმანობ,
მაგ ნაკლაობას ნაგაკლავ,
შუაზე გაგხევ, იმანო!

მერე გინდ ჩოხა ჩაიცივი,
გინდ – გადაიცივი კიმონო,
ერთადერთია შენი გზა –
სულით და ხორცილთ იმონო!

მედლებვალიე

თავს რომ იტყუებ „მერე-მერეთი“,
კეპი გეხუროს, გინდა – ბერეთი,
სუყველაფერი თავდება ბოლოს –
შავი სიკვდილით, ყრუ სიბერეთი.


თვალი შევასწარი

ეტყობა, ფული არ უხურს,
რა ქნას მოხუცმა კაცმა;
დგას და ჯახირობს ჯიხურში,
ტანსაცმელს ყიდის, ნაცვამს.

გუტა ფორია

გაბრძელება იძნება

მკინარეები



ლარი ჩანტლაქი

ძილი რომ დაკარგული ენერჯის აღდგენისთვის და ტვინის უჯრედების დაზიანებისთვის აუცილებელია, ახალი ამბავი არ გახლავთ, მაგრამ ისევე, როგორც სხვა ვითარებაში, ვფიქრობ, აქაც ზომიერების გრძობამ არ უნდა გვიღალატოს. უფრო ან გაგრძელებულმა ჩაძინებამ (მით უმეტეს, თუ ხერხებით გამოირჩევი) შეიძლება არა მხოლოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდოს, არამედ ტრავიკულ შედეგამდეც მიგიყვანოს. ღმერთმა ნუ ქნას და საჭესთან ჩაგეძინოს – კატასტროფა გარდაუვალია! ამჯერად, სულაც არ ვაპირებ ძილიანობით გამოწვეულ ტრავიკულ მოვლენებზე საუბარს. უფრო მსუბუქ, ასე ვთქვათ, თავშესაქცევ, შემთხვევებზე შევაჩერებ თქვენს მონყაყელ ყურადღებას.

არიან ადამიანები, რომელთაც ეგრეთწოდებული „პიკვიკის სინდრომი“ სჭირთ. მოსაუბრე უეცრად წყვეტს ლაპარაკს და ძილს ვინღა ჩივის, შეიძლება გვარიანი ხერხივაც გააჩალოს. დიდებული პიროვნება, „ბუკალა“ (იგივე იმპურგი პასპორტით), ფრიად აზარტული მოთამაშე ბრძანდებოდა და მომქანცველი სამუშაო დღის შემდეგ უსათუოდ პოკერზე შემოვივლიდა და „ბრძოლაში“ ჩაერთვებოდა. როცა კარტი მაინც და მაინც მარჯვდ არ მოსდიოდა, სიფხიზლე უდუნდებოდა და ჩამოეყვინებოდა.

– ბუკალ, შენი სიტყვაა! – ხელს ნაპკრავდა პარტნიორი.

– ა! – თავს აწევდა ბუკალა და წამსვე შესძახებდა, – პლიუს! – ესე იგი, შენს ფსონს დავამატეო!

ამ დროს შეიძლება საკუთარი კომბინაცია ნანახიც არ ჰქონოდა. ზოგიერთი უზნეო მოთამაშე ამით ბოროტად სარგებლობდა და ჩვენს ბუჩუნა ბუკალას, როგორც იტყვიან, ბანანივით ატყავებდა.

ერთი საყვარელი მეზობელი მყავს, კაპა ნინიძე. ბინაში სამ სულს ერთი ტელევიზორი აქვს, რომლის ექსკლუზიური ყურების უფლება მხოლოდ შვილიშვილს, გიგის, ეკუთვნის. ამიტომ საღამოობით, ზოგჯერ გვიანობამდე, ჩვენი ტელევიზორით სარგებლობს. ეს ბოლო სიტყვა შემძლო ბრწყყალებში ჩამესვა, ვინაიდან ის, რასაც ტელევიზორით უჩვენებენ, ნაკლე-

ბად აინტერესებს. კაპა ან სადღეისო ჭორებზე აკეთებს აქცენტს მჭექარე ხმით ან არადა საათობით გემრიელად სძინავს სავარძელში. ადრე თუ წინა გვინვდიდა მეგობრულ ხელს და მის ფურცლებზე თავდადებულს ტკბილად ჩაგვეძინებოდა, დღესდღეობით ეს ფუნქცია ტელევიზორმა გადაიბარა. ჰო, მართლა, კინალამ დამავინყდა მეთქვა, კაპას მხოლოდ ტელევიზორთან რომ ეძინოს, რა უშავს. საქმე ის გახლავთ, რომ საკმარისია, ნებისმიერ ტრანსპორტში დაჯდეს, რომ სულ რაღაც წუთნახევრის შემდეგ სიზმრიან სამყაროში გაიხაროს. ერთხელ, „მარშრუტკაში“, მესამე წრეზე რომ წავიდა, მძღოლს ნერვებმა უღალატა, მანქანა გააჩერა და ორმაგი თანხა გადაახდევინა.

უადგილო და უდროო ძილთან დაკავშირებულ ეპიზოდსაც მოგახსენებთ ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან. მეოთხე კურსის ჩამთავრების შემდეგ, ზაფხულში, ეგრეთწოდებულ „სამხედრო სტაჟირებას“ გავდიოდით დუშეთის შემოგარენში. ერთთვიანი უაზრო-უშედეგო ჯახირის ბოლო დამეს სასწავლო „მარშ-ბრასოკი“ (ვერ ვთარგმნე) დაგვიგემეს. „ოპერაცია“ ღამის თორმეტზე დაიწყო. მთელი ოთხი საათი იყო ერთი ვაი-უშველებელი, ღრიანცელი, „ურას“ უადგილო ღრიალი, უწესრიგო სროლა ფუჭი ვაზნებით, წინ და უკან და გარდვიარდმო უაზრო სირბილი. ისე დავიქანცეთ და გამოვშტერდით, რომ ლაპარაკის თავიც აღარ გვექონდა. ოფიცრებმა ძლივს შეაკონინეს ბატალიონის კოლონა და ყაზარმისკენ სვლა გვიბრძანეს. მე, ირაკლი კენჭოშვილი და ჯემალ ცერცვაძე (ხელბურთელში არ აგერიოთ) კოლონას ბოლოში ამოვუდექეთ. იქვე, მინდორში, რომ არ წავნოლილიყავით და თავი გაგვემხნევებინა, სასულე ინსტრუმენტების იმიტაცია დავინყეთ. ძლივსდა მივათრევით დამძიმებულ ფეხებს. არ ვიცი, „მუსიკამ“ თუ გადაღამ „იმუშავა“, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, დაახლოებით კლომეტრი მძინარეს გამივლია. ისე ტკბილად გეძინა, არ გაგაღვიძეთო, მითხრა ჯემალმა.

ამასწინათ კორსანტიას კონცერტზე გახლდით. ბილეთები დიდი „ბლატებით“ გავიჩალიჩეთ. სახელგანთქმული პიანისტი ჩაიკოვსკის არანაკლებ განთქმულ პირველ კონცერტს უკრავდა ბრწყინვალე ვატო კახიძის დირიჟორობით. ლოყაში, ჩვენს გვერდით, ერთი უკანასკნელ მოდაზე გამოკონიავებული, ძვირფასი სამკაულებით შეჯავშნული, პირმშვენიერი ქალბატონი შემობრძანდა და, რა გასაკვირია, საკმაო რაოდენობის შორიასლო მსხდომთა ყურადღება დაიმსახურა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მომხიბლავ ბანოვანს, მთელი კონცერტის განმავლობაში, კორსანტიაზე არანაკლები ინტერესით ვაკვირდებოდით. დირიჟორის სტეკის პირველივე დაქნევამ და ორკესტრის საწყისმა აკორდებმა მაგიურად იმოქმედა ქალბატონზე:

გრძელწამნამებიანი თვალები მილულა, თავი რბილ მოაჯირზე დანყობილ ხელებზე ჩამოასვენა და ბავშვივით უმანკოდ ჩაიძინა. კონცერტი დასრულდა, ხალხი გაიკრიფა, ბანოვანი კვლავ სხვა სამყაროში დაფრინავდა. როცა ორკესტრანტებმაც დაცალეს არენა, პიანისტი და დირიჟორი გამოვიდნენ და, ეტყობა, როიალის მიმართ რაღაც შენიშვნები გამოთქვეს. მერე დარბაზს მოავლეს თვალი და ახლავა შენიშვნებს მოაჯირზე თავჩამოდებული ქალბატონი.

– მგონი, სძინავს, – ივარაუდა ვატომ.

– ცუდად არ იყოს, – შეფიქრიანდა კორსანტია.

როცა მიუახლოვდნენ, ვატოს ვარაუდმა გაამართლა. კორსანტიამ შევბით ამოისუნთქა:

– როგორ ტკბილად სძინავს, არ გააღვიძო, ცოცხალი მაგი.

– დავდგეთ და ვუდარაჯოთ? – ვატომ მხარზე ხელი ფრთხილად შეახო მძინარეს, – ქალბატონო!

ქალი შეიმშუშნა და თავის პოზიცია შეცვალა: ახლა მეორე ლოყით დაეყრდნო დაბუჩებულ ხელებს.

– ცოცხალი მაგი! – გაიმეორა პიანისტი.

– ქალო! – ინტონაცია გაამკაცრა ვატომ, – ინებე გამოღვიძება!

თქვენც არ მომიკვდეთ, არც კი შერხეულა.

– სასწაულია პირდაპირ! – აღმობდა საშას.

– სასწაული კი არა! – გამწარდა ვატო, მძინარე ქალბატონს თმამი წაავლო ხელი და თავი ძალად აანწვინა.

– ვაიმე, ჩემი პრიზოსკა! – იყვირა ბანოვანმა და თვალი მერე გაახილა.

როცა მის წინაშე მდგომი მამაკაცები შეათვალერა, მომხიბლავად გაიღიმა: – ისე ღამაზად უკრავდით, ჩამძინებია. კიდევ როდის დაუკრავთ?

– როცა ძილი მოგიინდებათ, ქალბატონო! ახლა კი გთხოვთ დარბაზი დაცალეთ! – პრინციპზე დადგა ვატო.

– წავალ, ღამის გასათევად კი არ მოვსულვარ! – წარბები აწკიპა ქალმა და თეძოების დამუშავებული რხევით გავიდა ლოყიდან.

– მაგარი ქალია! – ველარ მოვითმინე. – რამდენი ხანია თქვენს უტაქტო საქციელს ვაკვირდები. როგორ გეკადრებათ ქალთან ასე უხეშობა!

– ეს ვინდაა?! – რატომღაც კორსანტიას ჰკითხა ვატომ.

– მე მეკითხები? – გაუკვირდა საშას. მერე, მცირე პაუზის შემდეგ, კარგად დამაკვირდა და შემაფასა: – ბოთეა ვილაც მაგი!

მათი ხელოვნებისადმი უზარმაზარი პატივისცემის მიუხედავად, თავი ვერ შევიკავე და ის იყო, რაღაც უმწარესი წინადადებების დახვევაებას ვაპირებდი, რომ ორივენი გაქრნენ. თვალეები მოვიფშვნიტე, გავახილე და ცარიელი დარბაზი მოვათვალერე. როგორც ჩანს, ჩამძინებია.

დაილოცოს დიდი ხელოვნების მაგია! ■

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული დაპარტამენტი და გამომცემლობა „იპარია“

გთავაზობთ:

1. ნიგნების გამოცემას ნებისმიერი ტირაჟით და ფორმათა ოდენობით.
მომსახურებაში შედის: აწყობა-დაკაბადონება, რედაქტირება, კორექტირება, დიზაინის მომზადება.
2. გამომცემლობა „იპარია“ მიიღებს დაკვეთებს: მემუარული, ავტობიოგრაფიული, საგვარეულო თუ სხვა სახის ნაწარმოებების შედგენა-დამუშავებისთვის, შემდგომში გამოცემის უზრუნველყოფით.
3. გამომცემლობა შემკვეთის სურვილისამებრ დაამუშავებს სალიტერატურო და პირად არქივებს.
4. გამომცემლობა „იპარიის“ მომსახურება იაფი და მაღალხარისხიანია.
5. საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრები ისარგებლებენ შეღავათით.
6. თქვენ მოგემსახურებათ კომპიუტერის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, გამოცდილი რედაქტორები, კორექტორები...

ჩვენი მისამართია
ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4; მეოთხე სართული, ოთახი №499; საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია.
საკონტაქტო ტელეფონები:
595 400 371 ავთო ჩხაიძე
599 293 967 – ალექო გაბელაია
571 212 770 – გულადი ფეტელავა (გური ოტობაია)

მამ ასე:
ჩაგვაბარეთ დედანი – მიიღეთ ნიგნი!



მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მკირფასო ავტორებო!
რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის პარასკეობით